ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა **მასწავლებელთა განათლება**

ტუჩაშვილი ნანა

პროექტით სწავლების ტექნოლოგია ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილის მაგალითზე (საბაზო საფეხური)

ნაშრომი შესრულებულია მასწავლებლის განათლების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ზაქარია ქიტიაშვილი,
განათლების მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2019

ანოტაცია

ნაშრომი წარმოადგენს გზამკვლევს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთათვის. ვინც პროექტით სწავლების დანერგვას აპირებს პრაქტიკაში. პროექტით სწავლება ეფექტიანი და აქტუალური ტექნოლოგიაა სწავლების პროცესში. სწავლების ერთ- ერთი მიზანი მოსწავლეებში სხვადასხვა უნარის განვითარებაა. პროექტით სწავლების ტექნოლოგია საშუალებას აძლევს მასწავლებლებს, რომ მოსწავლეებში განავითარონ ერთდროულად რამდენიმე უნარი, პროექტზე მუშაობის განმავლობაში. ეს უნარებია: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, პრობლემის გადაჭრა და საქმიანობის ორგანიზება. პროექტი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ გამოავლინონ შესაძლებლობები, ინტერესები და ამიტომაც ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში პროექტული ტექნოლოგიის პრაქტიკის კვლევა **აქტუალურია**.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გავაანალიზეთ საბაზო საფეხურზე ჩატარებული პროექტის გეგმები, რეფლექსიები და შევადარეთ ისინი ქართული ენისა და ლიტერატურის, საბაზო საფეხურის სტანდარტს. ამ შედარებამ საშუალება მოგვცა დაგვენახა, რას ფარავენ სტანდასტის მიხედვით პროექტის სტრატეგიით ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები, ან რას ვერ ახორციელებენ, მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე შევძელით სხვადასხვა მეთოდით დამუშავებული გეგმების შექმნა. აღნიშნული საკითხი წარმოადგენს ნაშრომის **სიახლეს.**

სამაგისტრო ნაშრომის **მიზანია** პროექტით სწავლების პრაქტიკის კვლევა ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურზე. აღნიშნილი მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი **ამოცანები:**

- ✓ ლიტერატურის/ დოკუმენტაციის დამუშავება და ანალიზი;
- ✓ კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- ✓ თვისებრივი კვლევის ჩატარება;
- ✓ კვლევის მონაცემების დამუშავება და ანალიზი;
- ✓ დასკვნებისა და რეკომენდაციებიის შემუშავება.

ნაშრომის კვლევის **საგანია** პროექტით სწავლების ტექნოლოგიის გამოყენების პრაქტიკა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას საბაზო საფეხურზე, ხოლო **ობიექტი** - პროექტით სწავლების ტექნოლოგიის გამოყენების პროცესი.

სამაგისტრო ნაშრომში გამოვიყენეთ **თვისებრივი** კვლევის მეთოდი, კერძოდ დოკუმენტაციის ანალიზი და ჩაღრმავებული ინტერვიუ. სასწავლო პროექტის გეგმები და რესპონდენტები შევარჩიეთ მიზნობრივად. შეირჩა სხვადასხვა სკოლის საბაზო საფეხურის ის მასწავლებლები, რომლებიც ახორციელებენ პროექტით სწავლების ტექნოლოგიას ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას.სულ ოცდაათი პროექტი და ოთხი მასწავლებელი. კვლევის შედეგები დეტალურადაა აღწერილი ნაშრომში.

Tuchashvili Nana

The teaching technology is the example of Georgian language and literature lesson (at lower secondary school)

Annotation

The Masters's work is a guide for teachers of Georgian language and literature. Who plan to introduce the project in practice. The project is an effective and current technology in the teaching process. One of the goals of teaching is to develop different skills in the students. The teaching technology allows students to develop their skills at school simultaneously at work. These skills are: critical thinking, creativity, use of theoretical knowledge in practice, problem solving and organizing activities. The project enables students to identify opportunities and interests and therefore research on project technologies in teaching Georgian language and literature is relevant.

In this regard, we have analyzed the project plans, reflections, and comparisons of the basic level of Georgian language and literature. This comparison gave us opportunity to see what the authors of the Georgian language and literature do not carry out with the project strategy according to the standard, but we can not create the plans developed by different methods in accordance with the received information. This issue is the novelty of the thesis.

Master's thesis aims at studying the practice of teaching on the basic level of Georgian language and literature. To accomplish this objective, set the following tasks:

- ✓ Development and analysis of literature / documentation;
- ✓ Determination of research methodology;
- ✓ Conducting qualitative research;
- ✓ Research and analysis of research data;
- ✓ Develop conclusions and recommendations.

The work of the study is the practice of using the technology of teaching technology on the basic level of teaching of Georgian language and literature, and the object - the process of using the technology of teaching technology.

In the master's work we have used the qualitative research method, in particular the analysis of the documentation and the in-depth interview. We have selected the project's plans and respondents to be targeted. The teachers of the base cycle of different schools have been selected, which are implementing the teaching technology in teaching Georgian language and literature. Total thirty projects and four teachers. The results of the research are detailed in the work.

სარჩევი

შესავალი 7

თავი I. პროექტით სწავლების ტექნოლოგია - საკითხის განსაზღვრისათვის 9

§1.1. სასწავლო პროექტის სტრუქტურა და შინაარსი 15

თავი II. საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის მიმოხილვა - ანალიზი 21

§2.1. ინფორმაციულ- საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ქართული ლიტერატურის ერთი პროექტის მაგალითზე 25

თავი III. პროექტით სწავლების მეთოდიკური საფუძვლები გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით 32

კვლევითი ნაწილი 37

დასკვნები: 43

რეკომენდაციები: 45

გამოყენებული ლიტერატურა: 46

დანართი №1

დანართი №2

დანართი №3

დანართი №4

დანართი №5

დანართი №6

დანართი №7

დანართი №8

შესავალი

„სასწავლო პროექტი კონკრეტული პრობემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისაკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაოა, რომლის დროსაც ვითარდება კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და საკომუნიკაციო უნარები. პროექტი აქტიური და მიზანმიმართული სწავლის საშუალებას იძლევა“ [ი. ბასილაძე, 2016: 131]. პროექტით სწავლების მიზანია პრობლემური საკითხის გადაჭრა მოსწავლეების მრავალმხრივი მუშაობის შედეგად. ამგვარი პრობლემის გადაჭრისათვის მათ დასჭირდებათ, ამოცანების დასახვა, ინფორმაციის მოძიება და ანალიზი. პროექტით სწავლება ერთ-ერთი წამყვანი და ეფექტიანი ტექნოლოგიაა,წარმოადგენს თანამედროვე დიდაქტიკის ერთ-ერთ კომპონენტს, ამიტომაც ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში პროექტული ტექნოლოგიის პრაქტიკის კვლევა **აქტუალურია**.

აღნიშნული საკითხით დავინტერესდით ქართულის სწავლების მეთოდიკის შესწავლის შემდეგ.ამ ტექნოლოგიისპრაქტიკაში გამოყენების საკვლევად გავაანალიზეთ საბაზო საფეხურზე ჩატარებული პროექტის გეგმები, რეფლექსიები და შევადარეთ ისინი ქართული ენისა და ლიტერატურის, საბაზო საფეხურის სტანდარტს. ამ შედარებამ საშუალება მოგვცა დაგვენახა, რას ფარავენ სტანდასტის მიხედვით პროექტული ტექნოლოგიით ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები, ან რას ვერ ახორციელებენ, მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე შევძელით სხვადასხვა მეთოდით დამუშავებული გეგმების შექმნა. ნაშრომს დანართების სახით ახლავს მასწავლებელებისთვის სარეკომენდაციო ცხრილები და შეფასების ნიმუშები. აღნიშნული საკითხი წარმოადგენს **სიახლეს.**

სამაგისტრო ნაშრომის **მიზანია** პროექტით სწავლების პრაქტიკის კვლევა ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურზე. აღნიშნილი მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი **ამოცანები:**

- ✓ ლიტერატურის/ დოკუმენტაციის დამუშავება და ანალიზი;
- ✓ კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- ✓ თვისებრივი კვლევის ჩატარება;
- ✓ კვლევის მონაცემების დამუშავება და ანალიზი;

- ✓ დასკვნებისა და რეკომენდაციებიის შემუშავება.

ნაშრომის კვლევის **საგანია**პროექტით სწავლების ტექნოლოგიის გამოყენების პრაქტიკა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას საბაზო საფეხურზე, ხოლო **ობიექტი** - პროექტით სწავლების ტექნოლოგიის გამოყენების პროცესი.

სამაგისტრო ნაშრომში გამოვიყენეთ **თვისებრივი** კვლევის მეთოდი, კერძოდ დოკუმენტაციის ანალიზი და ჩაღრმავებული ინტერვიუ. სასწავლო პროექტის გეგმები და რესპონდენტები შევარჩიეთ მიზნობრივად. შეირჩა სხვადასხვა სკოლის საბაზო საფეხურის ის მასწავლებლები, რომლებიც ახორციელებენ პროექტით სწავლების სტრატეგიას ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას. სულ ოცდაათი პროექტი და ოთხი მასწავლებელი. კვლევის შედეგები დეტალურადააღწერილი ნაშრომში.

თავიI. პროექტით სწავლების ტექნოლოგია - საკითხის განსაზღვრისათვის

საკითხის განსაზღვრამდე საჭიროა ტერმინთა დაზუსტება, პროექტით სწავლებას ხშირად მოიხსენიებენ, როგორც მეთოდს. პროექტით სწავლება კი ტექნოლოგიაა. მეთოდი, წარმოადგენს ცოდნის შეძენის გზას, ხერხს, რომელიც ეფუძნება შემეცნების წყაროებს და იგი შეიძლება იყოს ზეპირსიტყვიერი, წიგნზე მუშაობის, მოვლენებსა და ფაქტებზე უშუალო დაკვირვების. პედაგოგიურ ლიტერატურაში გვხვდება ტერმინი ,,ტექნოლოგია", როგორც ი. ბასილაძე თავის სტატიში ,,სწავლისა და სწავლების მეთოდებისა და ტექნოლოგიების არსისა და განსხვავებების საკითხისათვის", განმარტავს, პედაგოგიური მეცნიერების და პრაქტიკის განვითარების თანამედროვე დონემ განაპირობა „პედაგოგიური ტექნოლოგიების" წარმოშობა და შემდეგ სწავლების პროცესში დანერგვა. სწავლებისას დღეს არაერთ ტექნოლოგიასა თუ სტრატეგიას იყენებს მასწავლებელი, რომ მიაღწიოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.

მეთოდურ და მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელოებში ხშირად ვხვდებით გამოთქმას „პედაგოგიური ტექნოლოგიები", „საგანმანათლებლო ტექნოლოგიები", „სწავლების ტექნოლოგიები". ტერმინი ,,ტექნოლოგია" შესაბამისად, მრავალმნიშვნელოვანია და დღემდე ერთიანი ხედვა საკითხისადმი ჩამოყალიბებული არ არის. კვლევებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესის თანამედროვე ტექნოლოგიებით წარმართვა ქმნის განსაკუთრებულ შესაძლებლობას პედაგოგიური პრაქტიკისა და თეორიის დაკავშირებისათვის, მასწავლებელთათვის კი ახალი შესაძლებლობებისა და მეთოდიკური მრავალფეროვნებისათვის. პედაგოგიურ ტექნოლოგიაში მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროცესში მოსწავლის პოზიცია, მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობა, რადგან მოსწავლე არის ობიექტი მთლიან სასწავლო პროცესში. ტექნოლოგიები სასწავლო ამოცანების გადაწყვეტის ეფექტიანი საშუალებაა. პედაგოგი ირჩევს მიზანს, შემდეგ კი ამ მიზნის მისაღწევ ტექნოლოგიას იყენებს. ამის მიხედვით, პედაგოგიური ტექნოლოგიის რამდენიმე ჯგუფს გამოყოფენ:

1. ავტორიტარული ტექნოლოგია, რომელშიც მასწავლებელი არის სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის ერთპიროვნული სუბიექტი, ხოლო მოსწავლე მხოლოდ ობიექტია;

შესაბამისად, ნებისმიერი აქტივობა გათვილი უნდა იყოს მოსწავლის სურვილებზე, ინტერესებსა და შესაძლებელობებზე;

2. ახსნითი-ილუსტრაციული სწავლების ტექნოლოგია, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსწავლის ინფორმირებულობა, განათლება და მათი რეპროდუქციული აქტივობა მათში საერთო-სასწავლო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით;

სწავლა- სწავლების ერთ-ერთ მიზანს უნარების განვითარება წარმოადგენს და ამზადებს მოსწავლეს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, აქვე უნდა ვიგულისხმოთ უწყვეტი განათლება, რომელშიც მას დაეხმარება სწავლების სხვადასხვა საფეხურზე შეძენილი უნარი.

3. დიდაქტოცენტრული ტექნოლოგია, რომელშიც დომინირებს მასწავლებლისა და მოსწავლის სუბიექტური და ობიექტური მიმართებანი. აღზრდასთან შედარებით პრიორიტეტი სწავლებას ენიჭება.

აღმზრდელობითი ფუნქცია სწავლა- სწავლების მნიშვლევოვანი ნაწილია, პიროვნების ფორმირების ეტაპზე მოსწავლე არის ობიექტი და როგორც აღვნიშნეთ, თებისმიერი აქტივობა, თუ მეთოდი უნდა იყოს მიმართული მისი შესაძლებლობების შესაბამისად. ამ ყველაფრის ორგანიზებაში მასწავლებლებს ეხმარება ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელშიც გაწერილია ყოველი საფეხურისა და საგნის მიხედვით, მისაღწევი შედეგები. ამის შესაბამისად კიდევ ერთი ჯგუფია:

4. პიროვნებაზე ორიენტირებული სწავლების ტექნოლოგია, რაც ქმნის მოსწავლეთა საკუთარი სასწავლო აქტივობის, მათი ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების განვითარებისა და უზრუნველყოფის პირობებს. პიროვნებაზე ორიენტირებული სწავლების მიდგომის დამოუკიდებელი მიმართულებებია: ჰუმანურ-პიროვნული, თანამშრომლობის და თავისუფალი აღზრდის ტექნოლოგია;

ეს მოთხოვნა გათვალისწინებულია, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ცხრა გამჭოლ კომპეტენციაში, რომელსაც თვითრეალიზებისა და საზოგადოებაში სათანდო ადგილის დამკვიდრების ფუნქცია დაეკისრა.

5. განმავითარებელი სწავლების ტექნოლოგია, რომლის ყურადღების ცენტრშია სწავლების საშუალებანი, რომელიც აუცილებლობის საფუძველზე იწვევს მოსწავლის შინაგანი განვითარების მექანიზმის ამოქმედებასა და მათი ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოვლინებას;

მოსწავლის შინაგანი განვითარების მექანიზმების ამოქმედებას უწყობს სწორედ ხელს პროექტებით სწავლების ტექნოლოგია, მასწავლებელი აღვივებს მოსწავლეში ისეთ, უნარს, რომლის შესახებ, მან შეიძლება არც კი იცოდა. მაგალითად, პროექტზე მუშაობისას, პროექტის დიზაინის გაფორმებას დაავალებს ისეთ მოსწავლეს, რომელსაც ტექნოლოგიების გამოყენება შეუძლია, ან აინტერესებს და ამ ინტერესიდან გადავა ძიების პროცესში.

6. *ალტერნატიული ტექნოლოგიები - მონტესორის ტექნოლოგია, ვალდორფის ტექნოლოგია (შტაინერი), თავისუფალი შრომის ტექნოლოგია (ფრენე), ალბათური განათლების ტექნოლოგია (ლობოკი), კომპლექსური ტექნოლოგიები (საავტოროსკოლები)* [ც. გორდეზიანი,2004: 13].

დღეისათვის პედაგოგიკაში ისმის კითხვა: რით განსხვავდება მეთოდიკა ტექნოლოგიისგან? მასალის გაცნობის შემდეგ, ამ კითხვებთან დაკავშირებით უნდა ავღნიშნოთ, რომ ბევრი სპეციალისტი მეთოდიკას თვლის ტექნოლოგიის სინონიმად და ტექნოლოგიას მეთოდის. ტერმინოლოგიური უზუსტობები გვხვდება მასწავლებელთა მიერ შედგენილ პროექტის გეგმებში და არა მარტო, ბევრ სტატიაში თუ მეთოდურ სახელმძღვანელოში პროექტით სწავლება მოხსენიებულია, როგორც მეთოდი და არა როგორც სტრატეგია. სპეციელისტებს კი მიაჩნიათ, რომ მეთოდიკა არის განათლების მეცნიერებებში არსებული კონკრეტული ხერხების გასაღები, რომელსაც ვიყენებთ გარკვეული ამოცანების განხორციელებისათვის. ხოლო პრაქტიკაში განხორციელებული, დეტალიზირებული და რეალიზებული კი იძენს ტექნოლოგიის დონეს. სწავლების მეთოდი, როგორც პროფ., დ. ლორთქიფანიძე წერს - არის მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის ცოდნა–ჩვევების გადაცემისა და გადაცემულის

მოსწავლეთა მიერ შეთვისების გზა, ხერხი, საშუალება, რომელსაც ვიყენებთ დასახული მიზნის მისაღწევად. ამა თუ იმ ტექნოლოგიის განხორციელება დამოკიდებულია უმთავრესად, მასწავლებლის ხელოვნებაზე.

თავად ტერმინი „ტექნოლოგია" ბერძნული წარმოშობისაა, „ტექნოს" ნიშნავს ხელოვნებას, ოსტატობას, უნარს და, თუ ამგვარად გავიაზრებთ პედაგოგიკაშიც ასე დამკვიდრდა ტექნოლოგია ეს არის ადამიანის საქმიანობის კონკრეტული სფეროს ინსტრუმენტი, აუცილებელი პროცესების, მეთოდების და პრინციპების კრებული, ორგანიზაციული ხერხები, რომელიც გამოიყენება შრომის პროცსში საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად. მეთოდიკა პასუხობს კითხვებზე: „რას, რატომ და როგორ ვსწავლობთ?", ტექნოლოგია კი მხოლოდ ბოლო კითხვაზე მოგვიგებს, ამასთანავე, მეთოდიკა არჩევს ტექნოლოგიას საგანმანათლებლო მიზნებისთვის. (ბასილაძე, ი. 2016)

ფაქტობრივად, ამ ტერმინით და შინაარსით დიდაქტიკის კითხვაზე „რავასწავლოთ" და „როგორ ვასწავლოთ" პასუხი ცოდნის უნარებისა და მათი გამოყენების ტექნიკა ხდება და ეყრდნობა სწავლა-სწავლების მეთოდებს, პრინციპებს, ცნებებს, მიდგომებს, ხერხებს, საშუალებებს, ჩვევებს, რესურსებს (მასწავლებლისა და მოსწავლეების მიერ შექმნილსა და მეთოდისტების მიერ შემოთავაზებულს), მასწავლებლის ხელოვნებას, ოსტატობას, ტაქტს და მივყავართ გარკვეული მიზნების, ამოცანების გადაწყვეტამდე განათლების მოთხოვნების შესაბამისად, ამიტომაც პროექტებით სწავლება ტექნოლოგიაა და არა მეთოდი, იგი წარმოადგენ დიდაქტიკის ერთ- ერთ კომპონენტს.

ამრიგად, მეთოდიკას ტექნოლოგიისგან განასხვავებს:

1. *დეტალიზაციის ხარისხი. მეთოდიკა არისაქტივობის ზოგადი მიმართება, ტექნოლოგია კი გამოყენებითი;*
2. *შინაარსი. ტექნოლოგია წესების თანმიმდევრულობაა, ხოლო მეთოდიკა ამ წესების შინაგანი შინაარსი და იდეოლოგია;*
3. *შედეგი. ტექნოლოგიის გამოყენებით წარმატების დასასრული შეიძლება გამოვითვალოთ (ვიწინასწარმეტყველოთ), ხოლო მეთოდიკის რეალიზაციის და გეგმვა ყოველთვის უფრო რთულია.* [ი.ბასილაძე, 2016: 6]

სამეცნიერო ლიტერატურაში ნათქვამია, რომ პროექტით სწავლების ტექნოლოგია აღმოცენდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკის შეერთებულ შტატებში სასოფო-სამეურნეო სკოლების სინამდვილეში და შემდგომ, გასული საუკუნის დასაწყისში გადაიტანეს ზოგადსა განმანათლებლო სკოლებში. XX საუკინის 20_იანი წლებისათვის ეს ტექნოლოგია უკვე სრულად იყო ჩამოყალიბებული. მას პრობლემური სწავლების მეთოდსაც უწოდებდნენ. (ჭოხონელიძე ნ. 2016). ამ საკითხზე აქტიურად მუშაობდნენ ჯონ დიუი და უილიამ კილპატრიკი.

პროექტებით სწავლებას ინოვაციურ მეთოდებთან ერთად ასახელებენ ზოგჯერ, მაგრამ, უნდა აღვნიშნოთ, რომ პროექტით სწავლების ტექნოლოგიით დაინტერესება საქართველოში 1926 წლიდან დაიწყო. ამავე წელს ითარგმნა ამერიკელი პროფესორის ვ. კილპარნიკის წიგნი *,,პროექტთა მეთოდი“.* 1926 წელს ჟურნალში *,,ახალი სკოლისაკენ“* გამოქვეყნდა სტატია სათაურით *,,პროექტების მეთოდი და მისი გამოყენება საბჭოთა სკოლაში“.* წერილს საინფორმაციო ხასიათი ჰქონდა და გვაუწყებდა, რომ პროექტებით სწავლების სტრატეგია ამერიკაში წარმოიშვა და მისი შემქმნელი არის ჯონ დიუი, სტრატეგია მიზნად ისახავდა ნასწავლის პრაქტიკულ განხორციელებას და ხელს უწყობდა მოსწავლეთა თვითშემოქმედების გამოვლინებას. სტატიაში ყურადღებაა გამახვილებული იმაზეც,რომ პროექტთა მეთოდის მექანიკურად გადმოტანა ჩვენს სკოლაში არ შეიძლება, საჭიროა ჩამოვაცილოთის, რაც ,,ამერიკული ცხოვრებით“ არის ნაკარნახევი, იგი უნდა გამოვიყენოთ სკოლისა და ცხოვრების კავშირის განმტკიცებისათვის, რაც უზრუნველყოფს თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობას. დღეს ქართულ სკოლებში პროექტით სწავლების სტრატეგიას ნერგავს ინტელის პროექტი, ისინი ატარებენ ტრენინგებს ყველა საგნის მასწავლებლისთვის. ინტელის ტრენინგს ესწრებიან ის პედაგოგები, რომელთაც კრედით ქულების დაგროვება სურთ. როგორც ოფიციალურ საიტზეა მითითებული ტრენინგის ბოლოს მასწავლებლები დამოუკიდებლად წერენ პროექტის გეგმებს თავის საგანში და ამის საფუძველზე ენიჭება მათ ორი კრედიტ ქულა. კვლევა იმის შესახებ, თუ რამდენად შედეგიან ამ პროექტით მომზადებული მასწავლებლების განხორციელებული პროექტით სწავლების ტექნოლოგია, არ ჩატარებულა. პროექტით სწავლების ტექნოლოგია ზოგიერთ ქვეყანაში სწავლების პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება. საქართველოში პროექტებით

სწავლებისადმი ინტერესი მას შემდეგ გაიზარდა, მაგრამ აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ამ ტექნოლოგიას ხშირად არ იყენებენ. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს სავალდებულო ლიტერატურის დიდი წილი, რომლის გავლაც მასწავლებელმა საფეხურის დასრულებამდე უნდა მოასწროს.

2018-2024 წლის სტანდარტი სავალდებულო ლიტერატურის მხრივ არ შეცვლილა. ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტში პროექტი წერია, როგორც შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტი. წლიური გეგმის მიხედვით, სემესტრში ორი შემაჯამებელი იწერება, მასწავლებელს შეუძლია ერთ- ერთი შემაჯამებლის ფუნქცია სასწავლო პროექტს დააკისროს, რა თქმა უნდა, იმ თემიდან გამომდინარე, რაც გავლილ მასალაში იქნება. 1926 წლის შემდეგ, არაერთი წიგნი და სტატია დაიწერა პროექტებით სწავლის შესახებ, არაერთიც ითარგმნა. ეს ტექსტები და მასალები ხელმისაწვდომი ხდება განათლების სამინისტროს მიერ გამოცემული ,,მასწავლებლის წიგნით“. მოგეხსენებათ, 2019წელს გრიფი მიენიჭა ვ. როდონაიას საავტორო სახელმძღვანელოებს, მეშვიდე კლასის ჩათვილით. უნდა აღვნიშნოთ, რომ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებში, როგორც მოსწავლის, ისე მასწავლებლის, ისევ არ შედის მეთოდიკური მითითებები პროექტული სწავლების შესახებ.

პროექტით სწავლების ტექნოლოგიის ეფექტიანობის დადგენისათვის, გასათვალისწინებელია, საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების გამოცდილება, პროექტით სწავლება დიდ ინტერესს იწვევს მშობლებში, ამიტომ მიზანმიმარტულად ეძებენ ისეთ სკოლებს, რომელშიც მხოლოდ პროექტით ასწავლიან. ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ კალიფორნიის შტატის 16 სკოლა. ამ სკოლებისადმი ინტერესი წლიდან წლამდე იზრდება. ამის საბუთად შგვიძლია მოვიყვანოთ ერთ-ერთი სკოლის მიერ მოწოდებული რეიტინგი, ეფექტიანობისათვის კი სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც 2018 წელს მათი სკოლადამთავრებულების 93% უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარა. სკოლების რეიტინგი და სტატისტიკა მათ ოფიციალურ საიტზეა განთავსებული. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვისურვოთ, რომ ასეთი ტიპის სკოლები ჩვენთანაც იყოს. მანამდე კი, სწავლების ამ ტექნოლოგიის სტრუქტურასა და შინაარსობრივ მხარეზე უნდა ვიმსჯელოთ.

§1.1. სასწავლო პროექტის სტრუქტურა და შინაარსი

პროექტები გვხვდება ორი ტიპის: სასწავლო და სოციალური, ისინი ერთმანეთისგან შინაარსით განსხვავდება. სასწავლო პროექტი კონკრეტული აკადემიური მიზნებისთვისაა და გათვლილია ეროვნული სასწავლო გეგმით გაწერილი უნარების განვითარებაზე, ხოლო სოციალური პროექტები მიმართულია გარემოს გაუმჯობესების, კონკრეტულ სოციუმში რეალური საჭიროებების შესწავლისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, რის საბოლოო მიზანს სამოქალაქო საზოგადოების განვითარება წარმოადგენს. ამ განსხვავების მიუხედავად, ობიექტი ორივე პროექტში მოსწავლეა. შესაძლებელია, რომ ერთი პროექტი გახდეს სხვა პროექტების წამოწყების მიზეზი, მიიღოს ფართო ხასიათი და ჩერთონ სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებიც, მაგალითად, პროექტი ,,მთის შვილი", რომელიც ვაჟა- ფშაველას ბიოგრაფიისა და ნაწარმოებების შესწავლას ეხებოდა, ამ პროექტის ფარგლებში დაიგეგმა არაერთი ღონისძიება, სპექტაკლი, ეწვივნენ მწერლის სახლ-მუზეუმსაც. გაჩნდება ლოგიკური კითხვა, რატომ უნდა ავირჩიოთ პროექტები ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას, ან რა უპირატესობა აქვს ამ ტექნოლოგიას?! - ეს ტექნოლოგია უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ VII-VIII-IX კლასების წლის ბოლოს მისაღწევ შედეგების მიღწევას, გადის სამივე კომპეტენციაზე: მოსმენა, წერა, კითხვა. ასეთი აქტივობები ყველაზე კარგად ამახსოვრდებათ მოსწავლეებს, არა მარტო საქართველოს სკოლების, არამედ სხვაქვეყნების გამოცდილებამაც გვიჩვენა, რომ პროექტებით სწავლება ეფექტიანია, მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ განვითარებული ქვეყნები: იაპონია, კორეა, ა.შ.შ., ინგლისი;[1] საქართველოს მსგავსად განვითარებადი ქვეყნები, სადაც ამ ტექნოლოგიის ეფექტიანობა მაღალია: ბრაზილია, ჩილე, პორტუგალია.პროექტების საერთო სტრუქტურას და დამახასიათებელ ნიშნები:

სასკოლო პროექტი გამოირჩევა: ამა თუ იმ მდგომარეობის ფლობით, ყოველდღიურ ცხოვრებასთან კავშირით და აქედან გამომდინარე პრაქტიკული გამოცდილებით (ცხოვრებისეული კავშირით სამყაროსთან). ინტერესთა კავშირით, (ინტერესი შეიძლება პროექტზე მუშაობის პერიოდში წარმოიშვას), მიზანმიმართული

[1] Ju Ho Lee ,(2016).The Impact of Project-Based Learning on Teacher Self-Efficacy.

დაგეგმვით, ტემპით და მონაწილეთა ქსელური კავშირით (ინფორმაციის გადაცემა ელექტრონული გზით); მთლიანობით (პროექტი მოიაზრება, როგორც მთლიანი. ეს ნიშნავს, რომ იგი ფასდება არა მარტო შედეგი, არამედ როგორც ერთიანი სამუშაო პროცესი), ამასთანავე ხასიათდება პროცესის დემოკრატიული წარმართვით, მონაწილეები ითვალისწინებენ, ისმენე და უზიარებენ ერთმანეთს აზრებს.

პროექტით სწავლების დამახასიათებელი ნიშნები:

- ✓ პროექტის ინიციატივა მომდინარეობს პროექტში მონაწილეთაგან, პროექტში მონაწილეები თანხმდებიან ერთმანეთთან ურთიერთობის ფორმებზე, სჯობს, პროექტის ინიციატივა მოსწავლეებს ეკუთვნოდეს;
- ✓ მონაწილეები მასწავლებელთან ერთად ავითარებენ პროექტის ინიციატივას;
- ✓ თანხმდებიან მიზანზე, აქტივობებზე, მუშაობის პირობებზე, პროექტისთვის საჭირო დროსა და სავარაუდო შედეგებზე;
- ✓ მონაწილეები ამჟღავნებენ როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ ინტერესს;
- ✓ უვითარდებათ თვითორგანიზებისა და პასუხისმგებლობის გრძნობა, როდესაც ინიციატივა ეკუთვნის მოსწავლეებს;
- ✓ წინასწარ შედგენილი სქემით აფასებენ როგორც საკუთარ, ასევე პროექტის სხვა მონაწილეთა საქმიანობას;
- ✓ ერთობლივად გადაჭრიან მუშაობის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებს;
- ✓ მონაწილეები მზად არიან სხვადასხვა მდგომარეობაში ერთამანეთის დასახმარებლად;
- ✓ პროექტში წამოჭრილი პრობლემიდან გამომდინარე საქმე აქვთ რეალურ, ცხოვრებისეულ სიტუაციებთან, ეს კი ეხმარება მათ კრიტიკულ აზროვნებაში;
- ✓ პროექტის მიზნიდან გამომდინარე გეგმავენ და აწარმოებენ კვლევის პროცესს;
- ✓ თვალნათლივ ხედავენ პროექტის შედეგად მიღებულ პროდუქტს; (ლობჟანიძე, ს. 2016)

პროექტზე მუშაობის სქემა:

- ✓ პროექტის ინიციატივა
- ✓ დისკუსია პროექტინიციატივის ირგვლის

- ✓ ქმედების სფეროს ერთობლივი განვითარება;
- ✓ დაგეგმილის განხორციელება;
- ✓ პროექტის დასასრული;
- ✓ განხორციელებული პროექტის განხილვა და საბოლოო შეფასება.

როგორ უნდა გაფორმდეს პროექტის გეგმა:

- ✓ ინფორმაცია მასწავლებლის შესახებ;
- ✓ პროექტის დასახელება;
- ✓ პრობლემის განსაზღვრა და მისი აქტუალობის დასაბუთება;
- ✓ საფეხური, კლასი;
- ✓ განხორციელების დრო;
- ✓ შინაარსობრივი სტანდარტი;
- ✓ მიზანი;
- ✓ მიმართულების მიმცემი კითხვები;
- ✓ ამოცანები და განხორციელების გზები;
- ✓ შეფასების ჩარჩო;
- ✓ შეფასება და თვითშეფასება(დანართის სახით);
- ✓ პროექტის ბიუჯეტი (საჭიროების შემთხვევაში).

პროექტზე მუშაობისას როგორც მასწავლებელის, ასევე მოსწავლეების წინაშე სრულიად ახალი ამოცანები დგება, რომელიც განსხვავდება ტრადიციული გაკვეთილისგან. პროექტით სწავლება გულისხმობს სკოლისგარეშე დაწესებულებების ჩართვას სასწავლო პროცესში, პროექტით სწავლებასთან ერთად იზრდება ორივე მხარის (მასწავლებლისა და მოსწავლის) შესაძლებლობები. პროექტგაკვეთილი მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას სრულიად წარმოაჩინოს თავისი აღმზრედელობითი და პროფესიული კომპეტენცია. პროექტის მიმდინარეობისას მასწავლებელი კონსულტანტის როლს ასრულებს, ხელმძღვანელობს ჯგუფურ და ინდივიდუალურ სამუშაოებს, მიმართულებას აძლევს მოსწავლეებს ძიებისა და კვლევის დროს, მასწავლებელივე უთითებს საინფორმაციო წყაროებს.

რა სფეროებს შეიძლება მოიცავდეს სასკოლო პროექტი?

- ეხებოდეს პრობლემას, რომლის გადაჭრა როგორც ერთი საგნის დისციპლინარული ცოდნით შემოიფარგლება, ასევე დისციპლინათშორისი გამოცდილების გამთლიანებას ემსახურება.
- საპროექტო თემა სცილდებოდეს სასწავლო პროგრამას და პროექტის თემის არჩევა განპირობებული იყოს აღმზრდელობითი მიზნით, საზოგადოებაში/თაობაში არსებული პრობლემით, მოსწავლეთა ინტერესით.

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი ყურადღებით იყოს პროექტის მსვლელობისას, ჩაერიოს იმ დროს, როდესაც მისი დახმარება დასჭირდებათ მოსწავლეებს და თუ, ჩარევა არ იქნება საჭირო, მისცეს დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობა. ეს შესაძლებელი ხდება მეორე ან შემდგომ პროექტებზე, როდესააც მოსწავლეებს გამოცდილება აქვთ პროექტზე მუშაობის და შედეგებიც გააზრებულია კონკრეტული აქტივობის დაწყებამდე.

სასწავლო პროექტის ფაზები:

პროექტით სწავლებას აქვს განსაზღვრული ფაზები, მასწავლებელმა ყველა ეტაპზე უნდა მისცეს მოსწავლეებს დამოუკიდებლად მუშაობის საშუალება, რომ საკუთარ ნამუშევარზე შეძლონ პასუხისმგებლობის აღება. ცალ -ცალკე განვიხილოთ ეს ფაზები:

I. თემა და პრობლემა - შეიძლება შერჩეული იყოს მასწავლებლის მიერ და შემდეგ, მან წარუდგინოს კლასს, ან მოსწავლეებს მისცეს თემის არჩევის საშუალება სხვადასხვა სტრატეგიით, მაგ. ,,გონებრივი იერიშით“, ანდა სახელმძღვანელოს კონკრეტული თავის შემაჯამებელი ფუნქცია დაეკისროს პროექტს. ყველა შემთხვევაში საკითხი უნდა იყოს კონკრეტული, რათა არ გამოვიწვიოთ მოსწავლეების დაბნევა. სასურველია, რომ მოსწავლეებს შევთავზოთ განსაკუთრებული მეთოდი ან ტექნიკური მოწყობილობა, რომელსაც მუშაობის პროცესში გამოიყენებენ.

II. დაგეგმვა - მასწავლებელმა და მოსწავლეებმა ერთად უნდა გადაწყვიტონ როდის დაიწყებენ პროექტზე მუშაობას, რა დრო დასჭირდებათ, როგორ იქნება ფუნქციები გადანაწილებული, ჯგუფში იმუშავებენ თუ ინდივიდუალურად, ერთსა და იმავე თემაზე იმუშავებენ, თუ სხვადასხვაზე.

III. მასალის შეგროვება, ანალიზი და მეთოდები - პროექტზე მუშაობა მოსწავლეებს სხვადასხვა უნარებს გამოუმუშავებს. მაგ. კვლევითი პროექტში - ლიტერატურის დამუშავების, ინტერვიუს აღების, სტატისტიკური მონაცემების დამუშავების, ინფორმაციის მოძიების, მასალის ანალიზის და სხვა უნარებებს. შემოქმედებითი პროექტის შესრულებისას ვითარდება ტექნიკური ცოდნა და უნარები, როგორიცაა ვიდეოკამერასთან მუშაობა, პროექტის დიზაინის შერჩევა, ან სხვადასხვა სასწავლო რესურსის დამზადება, მაგ. დროშების, პოსტერების, რუკების ანდა სქემების.

IV. კვლევის შედეგები - პროექტის შეჯამება შეიძლება იყოს ანგარიში, ფილმი, გამოფენა, აუდიო გახმოვანება, ლექცია, კონფერენცია და ა.შ. შეჯამების დროს უკეთესი იქნება თუ წარმოვადგენთ პროექტის ყველა ფაზას, სადაც ვისაუბრებთ მოსწავლეების თვითშეფასებაზე, მოსწავლეების ინტერესებსა და პროექტში მიღწეულ წარმატეტებზე. სამუშაო შეიძლება წარვადგინოთ კლასშიც და აუდიტორიის წინაშეც(ლობჟანიძე, ს. 2016).

V. შეფასება და თვითშეფასება -ნებისემიერი პროექტისთვის მნიშვნელოვანია შეფასება, რომლსაც უნდა ახლდეს მოსწავლეებისა მასწავლებლის თვითშეფასება. ამაში კი დაგვეხმარება კითხვარი, რომელსაც ისინიშეავსებენ პროექტის დასრულების შემდეგ. თვითშეფასების სარეკომენდაციო კითხვარი იხ. დანართი №1 და დანართი №2, თვითშეფასება მოსწავლეებს დაეხმარება პროექტში შექმნილი სირთულეებისა თუ პრობლემების დანახვსა და გააზრებაში. პროექტის დასასრულს მასწავლებელიც აკეთებს თვითშეფასებას კომპეტენციის ამაღლების მიზნით (იხ. დანართი №3). შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ აკადემიური კრიტერიუმი, არამედ პროექტში გამოყენებული ყველა ცოდნა და უნარი. ამ უნარების შესაფასებლად გთავაზობთ პროექტის შეფასების სარეკომენდაციო ცხრილს (იხ. დანართი №4). პროექტს სჭირდება შუალედური ანგარიში, რომელიც პერიოდულად უნდა მოამზადონ წერილობით ან ზეპირად (იხ. დანართი №5). ანგარიშში მოცემული შენიშვნები, რჩევები და რეკომენდაციები ხელს შეუწყობს პროექტის წარმატებით განხორციელებას.

ემერ ლენცენის (2002) მიხედვით, სკოლის პროექტგაკვეთილის მიმდინარეობა იყოფა შემდეგ ფაზებად: ინიციატივა, დასაწყისი, განხორციელება, პრეზენტავია, შეფასება. ამ შეფასებაში პროექტის საბოლოო შეჯამებას არ გულისხმობს იგი, აღნიშნავს, რომ პროექტი უნდა გაგრძელდეს. პროექტის შეფასების სარეკომენდაციო ცხრილი იხ. დანართი №6.

საუკეთესოდ ითვლება ის პროექტი, რომელიც მოსწავლეებისგან მოითხოვს მათი ყველა უნარის გამოყენებას: კვლევითის, შემოქმედებითის, სოციალურის. ნებისმიერ შემთხვევაში მასწავლებელმა თითოეული მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით უნდა დაგეგმოს პროექტი.

თავი II. საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის მიმოხილვა - ანალიზი

საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით: საბაზო საფეხურის მისიაა საგანთა სწავლა- სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება, აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძვლების შექმნა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისთვის.

ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა- სწავლების მიზანია, რომ მოსწავლეს განუვითაროს შემდეგი უნარები და ღირებულებები: პრობლემის გადაჭრა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, ეთიკა, დროსა და სივრცეში ორიენტირება, კვლევა, სწავლის სწავლა, პასუხისმგებლობა, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, წიგნიერება.

საგნობრივი სტანდარტი-განსაზღვრავს ცოდნის სავალდებულო მინიმუმს, რომელსაც უნდა ფლობდეს მოსწავლე საფეხურის ბოლოს. იგი პასუხობს შეკითხვებს: რა უნდა იცოდეს მოსწავლემ, რა უნდა შეეძლოს მას, რა ღირებულებებით უნდა აღიზარდოს იგი კონკრეტული საგნის ფარგლებში.

საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

ა) საგნისსწავლა-სწავლებისმიზნები;

ბ) სტანდარტისშედეგებიდა შინაარსი;

გ) მეთოდიკური ორიენტირები;

დ) შეფასება;

მასწავლებელს დოკუმენტი ეხმარება სასწავლო პროცესისა და აქტვობების დაგეგმვაში.

სტანდარტი გამოყენების გზები ამგვარადაა მითითებული:

- სტანდარტის დოკუმენტი არის სახელმძღვანელო საშუალება მასწავლებლების, მშობლებისა და აღმზრდელებისათვის, რათა მათ შეუქმნან ბავშვებს შესაფერისი სასწავლო და სააღმზრდელო გარემო;

- მასწავლებლებს შეეძლებათ დაგეგმონ სასწავლო პროცესი და მიუსადაგონ სასწავლო აქტივობები სტანდარტების დოკუმენტში ჩამოყალიბებულმიზნებსა და ბავშვის განვითარების შედეგებს;
- სტანდარტის დოკუმენტი სახელმძღვანელო ხასიათისაა და მისი გამოყენება შესაძლებელია სასწავლო და სააღმზრდელო, ფორმალურ და ასევე, არაფორმალურ გარემოში. სტანდარტში ჩამოყალიბებული ინფორმაცია დაეხმარება მშობლებს, მასწავლებლებსა და აღმზრდელებს, რომ მათ უკეთ წარმართონ ბავშვის აღზრდისა და განვითარების პროცესი.[2]

სტანდარტის მიხედვით პროექტი არის შემაჯამებელი სამუშაოს ერთ-ერთი საშუალება. პროექტში მონაწილეები თვითონ ირჩევენ სამოქმედო არეალს და ქმნიან შესაბამის გარემოს, მიზნიდან გამომდინარე ხდება ადამიანური რესურსის გამოყენება. პროექტის გეგმების ანალიზიდან ირკვევა, რომ მასწავლებლები არ ითვალისწინებენ სტანდარტის მოთხოვნებს, მათ მითითებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმიდან მისაღწევი შედეგები, მაგრამ დავალებები, რომელსაც ისინი მონაწილეებს აძლევენ ზოგიერთ შემთხვევაში არ იძლევა უნარების განვითარების საშუალებას. ზოგ შემთხვევაში, კი არაადექვატური მისაღწევი შედეგები აქვთ ჩაწერილი პროექტის გეგმაში.

საგნის სწავლა-სწავლების მიზნები:

საბზო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

- მოსწავლეს განუვითაროს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ზეპირ და წერილობით ტექსტებზე დამოუკიდებლად მუშაობის, მათი გაგება-გაანალიზების, ინტერპრეტირებისა და არგუმენტირების უნარები;
- მოსწავლეს განუვითაროს ენობრივი უნარები, გაუმდიდროს ლექსიკური მარაგი;

ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე როგორც ენის, ისე ლიტერატურაში განხორციელებულ პროექტებში შეგვიძლია ვიზრუნოთ, მაგრამ ქართული ენისა და

[2] http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/datskebiti-safekhuri-i-vi-klasebi-damtkitsda-2016-tsels

ლიტერატურის პროექტის გეგმების შეფასებისას ვნახეთ, რომ ეს ფუნქცია მხოლოდ ენის სასწავლო პროექტებს დააკისრეს.

- მოსწავლეს განუვითაროს მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნება;

სტანდარტში მოცემულია აღნიშნული მიზანი, მაგრამ ამ მიზნის მიღწევის გზები არაა ნაჩვენები.ჩვენ მიერ შესწავლილი პროექტებიდან ირკვევა, რომ ქართულის მასწავლებლები არ ითვალისწინებენ დაგეგმვისას მხატვრულ- ესთეტიკური გემოვნების განვითარებას. ჩვენი შეფასებით, ეს მიიღწევა პროექტში სხვადასხვა ლიტერატურის შეტანით, ტექსტების შედარებითა და ანალიზით. ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს, ნესტან რატიანის, თეონა ბექიშვილისა და ნინო ლომიძის საავტორო სახელმძღვანელო, რომელშიც ვკითხულობთ *,,კითხვის უნარის განვითარება წიგნიერების საფუძველია, რაც სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ეს უნარი ემსახურება მშობლიურ და მსოფლიო ლიტერატურასთან ზიარებას; ამასთანავე ნაირგვარი წერილობითი ტექსტის წაკითხვის, მათში მოცემული ინფორმაციის გაგების, გააზრებისა და გამოყენების უნარ- ჩვევების გამომუშავებას. პიროვნებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროცესში ლიტერატურის სწავლების მიზანია, ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელშიც მოსწავლეს საშუალება ექნება, გაიაზროს და შეაფასოს მხატვრულ ტექსტებში ასახული სიღრმისეული და ცხოვრებისეული პრობლემები. ლიტერატურასთან ურთიერთობამ უნდა განუვითაროს მოსწავლეს მხატვრული და ესთეტიკური გემოვნება, გაუღვიძოს შინაგანი აქტიურობისა და თვითშეფასების სურვილი“* [ნ. რატიანი, თ. ბექიშვილი, 2017:1]

ეროვნული სასწავლო გეგმის XVIII თავში მოცემულია ესთეტიკური აღზრდის სწავლების მიზნები და ამოცანები. ყურადღება მივაქციეთ იმ ნაწილს, რომელსაც ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტიც ითვალისწინებს. ესთეტიკური აღზრდის მიზანია: ინტერესისა და სიყვარულის გაღვივება ხელოვნებისადმი,სამყაროს ერთიანობის განცდის ჩამოყალიბება; ეროვნული, სხვა ერისა და ზოგადსაკაცობრიო კულტურის დაფასების, განსხვავებული აზრისა და მსოფლმხედველობის , ადამიანის შრომის მიმართ პატივისცემის გრძნობის გამომუშავება. ხოლო ამოცანებია: ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ ფასეულობებთან ზიარება, მსჯელობისა და წარდგენის

უნარის გამომუშავება, მოსწავლის ჩაბმა შემოქმედებით და საინტერპრეტაციო საქმიანობაში,საკუთარი აზრის დასაბუთებულად წარმოჩენა, სხვისი აზრის პატივისცემა, სასწავლო აქტივობებში ჩართულობა. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლა- სწავლების მიზანია ასევე:

- მოსწავლეს განუვითაროს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების (მათ შორის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილი ტექსტების) შექმნისა და წარდგენა-გაზიარების უნარები;

საბაზო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ნაკლებად იყენებენ ინფორმაციულ- საკომუნიკაციო საშუალებებს. მათი გამოყენება უცხო ენების სწავლებისას ითვლება უპირატესად, განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებულ ტრენინგებში, რომელიც სკოლებში პროექტით სწავლების დანერგვას ეხებოდა, მონაწილეობდნენ მხოლოდ უცხო ენის პედაგოგები. უნდა აღვნიშნოთ, რომ ტექნოლოგიების გამოყენება მხოლოდ საოფისე პროგრამების ჩართვა და მასში შესრულებული პრეზენტაცია არ არის. ქართულის მასწავლებლისთვის კარგრესურსებად შეგვიძლია ვაქციოთ ელექტრონული ტესტები და ქვიზები, რომელთაც გამოიყენებენ სწავლებისას, შესთავაზებენ მოსწავლეებს მრავალფეროვან დავალებებს.

- მოსწავლეს გამოუმუშავოს პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობა მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ზოგადად, ქართული კულტურის მიმართ;
- ხელი შეუწყოს მოსწავლის, როგორც სხვა კულტურების პატივისმცემელი პიროვნების ფორმირებას;

პატივისცემა და ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება, კულტურისა და ტრადიციების დაცვა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის უპირველესი მოვალეობაა, მითუმეტეს მაშინ, როდესაც სტანდარტი ავალდებულებთ მათ ამას. პროექტით სწავლების ტექნოლოგია ხელს უწყობს არსებული ინფორმაციის მოძიებას, ანალიზსა და სწავლებას.

- ხელი შეუწყოს მოსწავლის, როგორც ჰუმანურ ღირებულებებზე ორიენტირებული, შემოქმედებითი და მაძიებელი პიროვნების ფორმირებას.

ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის მიხედვით, პროექტი შეფასების ერთ-ერთი ფორმაა. თვითონ პროექტით სწავლება კი რამდენიმე ეტაპს მოიცავს. სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს რა უნდა იცოდეს მოსწავლემ ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურზე. შედეგები კი, გათვლილია წლიურ და სემესტრულ გეგმაზე. სტანდარტში არ არის მოცემული, როგორი უნდა იყოს ესა თუ ის საგაკვეთილო აქტივობა, მთავარი მიზანია, რომელსაც უნდა მიაღწიოს მასწავლებელმა სწავლების შედეგად. სტანდარტისა და პროექტის გეგმების შედარებისას ირკვევა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას ვერ ფარავენ სტანდარტით განსაზღვრულ სხვადასხვა ტიპის ტექსტების შექმნისა და წარდგენა- გაზიარების უნარებს; ვერ უწყობენ ხელს მოსწავლის, როგორც სხვა კულტურების პატივისმცემელი პიროვნების ფორმირებას და ოცდამეერთე საუკუნეში ყველაზე საჭირო, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას. პედაგოგი ამასთანავე, ხელს უნდა უწყობდეს სხვადასხვა ტექსტის ინტეგრირეგას სასწავლო პროცესში.

§2.1. ინფორმაციულ- საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ქართული ლიტერატურის ერთი პროექტის მაგალითზე

პროექტის შექმნის საფუძველი გახდა მერვე კლასში შესასწავლი სამი მოთხრობა, რომელიც ძალადობის თემას ეძღვნება. ესენია, გიორგი ლეონიძის ,,მარიტა", ვაჟა-ფშაველას ,,ამოდის! ნათდება!" და მიხეილ ჯავახიშვილის ,,ეშმაკის ქვა". მოთხრობაში ,,ამოდის -ნათდება" გვხვდება ასაკობრივი დისკრიმინაციის შემთხვევა, რასაც ეიჯიზმს უწოდებენ. მოხუც მგელ ტოტიას, ახანგაზრდები დააბრალებენ, რომ აღარაფერი შეუძლია და მისი მიზეზით ამოვიდა ხელისშემშლელი მთვარე და მშიერი მგლები გაფეთენ საწყალ ტოტიას. ,, მარიტა" ბრბოს მსხვერპლი გახდა, რომელმაც სიყვარული არ აპატია და არჩევანის უფლება არ დაუტოვა. ძალადობის კიდევ ერთი მსხვერპლია სოფიო, მოთხრობის ,,ეშმაკის ქვა" მთავარი პერსონაჟი, რომელიც სიკეთის სინონიმად ითვლებოდა. ნაწარმოებში საუბარია ფსიქოლოგიურ ძალადობაზე.

''...და ხალხმა ერთხმად იგრიალა:

– ჩავაქვავოთ! ჩავაქვავოთ! და ბრბოს სამართალი – უბრალო და მრისხანე – შადრევანივით ამოვარდა. ბრაზი რისხვას მოაჯდა, ორივემ შურისძიებას აღვირი მიუშვა და დეზი წაჰკრა."

ასეთი საზოგადოება ყოველთვის საშიშია, რადგან ჯანსაღი აზრი არ გააჩნია. პროექტის მიზანია მოსწავლეებს გააგებინოს რა არის ძალადობა, როგორ ვლინდება ის და რა გამოსავალი არსებობს მსგავსი შემთხვევების დროს, რადგან ეს თემა ყოველთვის აქტუალურია და ძალადობის ფაქტები ჩვენ გარშემო ხშირად ხდება. პროექტი მოითხოვს მონაწილეთა მაქსიმალურ ჩართულობას, პროექტში მონაწილეობენ სხვადასხვა კლასის მოსწავლეები.

აღნიშნული პროექტის გაიწერა ოთხ კვირაზე, აქ ვითვალისწინებთ მოსაძიებელი მასალის რაოდენობას, კვლევის პროცესის ხანგრძლივობასა და სასწავლო პროცესს, რადგან ამ დროის განმავლობაში მათ სხვა გაკვეთილები და მოსამზადებელი მასალაც ექნებათ. მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად, მასწავლებელმა ისე უნდა გადაანაწილოს დავალებები, რომ ჯგუფის თითოეულ წევრს მიეცეს თავისი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება. ჯგუფის წევრების მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა 4-6. აღნიშნულ პროექტში მოსწავლეები დაყოფილი არაინ ოთხ ჯგუფად:

I. ჯგუფი -აკეთებსტექსტის ანალიზს, ეცნობა სხვადასხვა მეცნიერისა და ლიტერატურის კრიტიკოსის მოსაზრებას ნასწავლ ტექსტებთან დაკავშირებით;
II. ჯგუფი - ეცნობა სახალხო დამცველის ანგარიშებსა და ეროვნულ კვლევებს ბავშვთა მიმართ ძალადობის თემაზე;
III. ჯგუფი - ატარებს კვლევას სკოლაში ან სკოლის გარეთ;
IV. ჯგუფი - ორგანიზატორები, რომლებიც მოაწყობენ და უხელმძღვანელებენ შემაჯამებელ ღონისძიებებს, მოამზადებენ პროექტის ანგარიშს და საჭიროების შემთხვევაში დაეხმარებიან მკვლევართა ჯგუფს.

პროექტზე მუშაობისას მოსწავლეები სასურველია გაეცნონ დამატებითი ლიტერატურას:

- გომართელი ივანე, ,,კრიტიკული შენიშვნები : ვაჟა-ფშაველა"
- დათაშვილი ლალი, ,,წერილები მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე"
- ელაშვილი ქეთევან, ,,ჩვენს ხელში უნებლიეთ აღმოჩენილი "ეშმაკისქვა" ''
- ნიკოლეიშვილი ავთანდილ, ,,XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები"

- ჯალიაშვილი მაია, ,,წარუვალი მშვენიერება".

პროექტის მსვლელობისას, აუცილებელია, ჩატარდეს შეხვედრები მასწავლებელსა და პროექტის მონაწილეებს შორის ყოველი კვირის ბოლოს, ვფიქრობ პარასკევ დღეს, გაკვეთილების შემდეგ შესაფერისი დრო იქნება, რომ მოსწავლეებმა წარმოადგინონ თავისი ერთი კვირის ნაშრომი ან გამოიტანონ ის პრობლემური საკითხი რომელსაც მუშაობისას აწყდებიან, ამ შეხვედრებზე მასწავლებელი აკონტროლებს რამდენად სწორად მიდის პროცესი და ასრულებს თუ არა თითოეული მონაწილე თავის დავალებას. პროექტის განმავლობაში მომზადდება შეხვედრების ანგარიში, რომელსაც უხელმძღვანელებს ორგანიზატორთა ჯგუფის, ეს ანგარიში წარმოდგენილი იქნება პროექტის შეჯამებისას. პირველ კვირას მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად იხსენებს განვლილ მასალას, მოსწავლეებს მიეცემა კონკრეტული დავალებები, მათ უკვე გადანაწილებული აქვთ სამუშაო. მოსწავლეთა მოტივაციისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ქეისები, პირველ ეტაპზე უნდა განისაზღვროს პროექტის სათაური და პროცესისათვის საჭირო დრო, მასწავლებელს შეუძლია ჩაატაროს გონებრივი იერიშის მეთოდით გამოკითხვა და თავის მოსწავლეებთან ერთად შეარჩიოს პროექტის სათაური,მიზნები და ამოცანები, გაწეროს დრო, გათვალოს პროექტისათვის საჭირო ხარჯები.

მასწავლებელმა წინასწარ უნდა შეიმუშაოს პროექტის შეფასების რუბრიკა. იმდენად, რამდენადაც ერთი და იგივე პროექტი ხშირად რამდენიმე სფეროს მოიცავს, სამუშაოს შეფასება რამდენიმე პედაგოგს მოუწიოს. შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მარტო აკადემიური კრიტერიუმი, არამედ პროექტში გამოყენებული ყველა ცოდნა და უნარი. პროექტის დაგეგმვის დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია მონიტორინგის მექანიზმი და პერიოდულობა - როგორ წარმოუდგენიათ პროექტში მონაწილეებს (როგორც მასწავლებლებს, ასევე მოსწავლეებს) პროექტის შუალედური და საბოლოო მინიტორინგის (თვითშეფასების) მუდმივი წარმოება პროექტში მონაწილეებს დაეხმარება დაინახონ მუშაობის პროცესში დაშვებული შეცდომები, გამოასწორონ ისინი, შეძლონ დასახული ამოცანების ადაპტირება, ეს კი ხელს შეუწყობს პროექტის წარმატებით განხორციელებას და სასურველი შედეგის მიღწევას. პროექტის რაიმე პრობლემური საკითხის გადაჭრასაც

გულისხმობს, პრობლემის გადაჭრა კი წარმოადგენს რთულ სააზროვნო უნარს, რომელიც ეფუძნება ცოდნასა და ლოგიკურ აზროვნებას.

პრობლემური საკითხის გადაწყვეტისას მასწავლებელს ვურჩევთ, გამოიყენოს მულტიმედია საშუალებები, რაც მოსწავლეთა მოტივაციას აამაღლებს და მათ ჩართულობას შეუწყობს ხელს. აღნიშულ პროექტში ვიყენებთ ვებ-ქუესთს, რომელიც იქმნება საიტზე www.Zunal.com (17/07/19). საიტს აქვს საგანმანათლებლო ფუნქცია, ამასთანავე, ყველა ასაკის ინტერესებსა და სფეროს მოიცავს. მასწავლებელი აქ წერს პროექტის ინსტრუქციას, ამოცანებსა და მიზნებს, აქვე აწვდის სამუშაო მასალას, რადგან ფაილებისა და ბმულების გაზიარებაცაა შესაძლებელი. შეგვიძლია აღვწეროთ პროცესი და ავტვირთოთ საბოლოო შედეგები, რომლებიც ჩვენი პროექტის მიხედვით მულტიმედია საშუალებების გამოყენებით სრულდება. წარმოგიდგენთ ვებ-ქუესთის ნუმუშს: http://zunal.com/webquest.php?w=385607 .

პროექტის საბოლოო შედეგებს მოსწავლეები წარმოადგენენ მეოთხე კვირის ბოლოს. I ჯგუფი თავის მოძიებულ მასალებს წარმოაგდენს რეფერატების სახით, ან მკვლევართა ციტატებს ამოწერენ ფერად ფურცლებზე და დაამაგრებენ კალათის ფორმის ქაღალდზე ან ხის ფორმაზე, მეტი ეფექტურობისთვის. თუ რეფერატის სახით წარმოადგენენ ნამუშევარს, მაშინ უნდა გამოიყოს დამატებითი დრო პრეზენტაციისათვის. ამავე ჯგუფს შეუძლია გააკეთოს პოსტერი და დაურტოს ძალადობის წინაარმდეგ მიმარტული ლოზუნგი. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეების ერთი ჯგუფი იმუშავებს მწერალთა ენაზე, ნამუშევრის წარმოდგენა შესაძლებელია კედლის გაზეთის საშუალებით, რათა მთელმა სკოლა შეძლოს მისი ნახვა და გაცნობა.II ჯგუფიIII ჯგუფთან ერთად წარმოადგენს პრეზენტაციას, რომელშიც გრაფიკულად იქნება ნაჩვენები მიღებული შედეგები. შეადარებენ ერთმანეთს მათ მიერ ჩატარებული კვლევის სტატისტიკას და სახალხო დამცველის ანგარიშში ასახულ ფაქტებს. მოსწავლეები წარმოადგენენ რეკომენდაციებს უფროსებისთვის, რჩევებს მისცემენ თანატოლებს და ისაუბრებენ ძალადობისგან თავის დაცვის საშუალებებზე. პროექტის შემაჯამებელ ეტაპს უხელმძღვანელებს ორგანიზატორთა ჯგუფი, ისინი წარმოადგენენ შეხვედრების ანგარიშებსა და საბოლოო დასკვნებს, გამოკვეთენ სკოლაში არსებულ პრობლემებს, მოაწყობენ სასკოლო ღონისძიებას, რომელიც ძალადობის წინააღმდეგ

იქნება მიმართული და მოსწავლეთა დაახლოებას შეუწყობს ხელს. რაც მთავარია, ასეთი ღონისძიებები მთელი წლის განმავლობაში უნდა ტარდებოდე და ერთჯერადი სახე არ უნდა ჰქონდეს. სერიოზული პრობლემების არმოცენის შემთხვევაში პროექტის მონაწილეები მასწავლებლებთან და დირექციასთან ერთად დასახავენ პრობლემის მოგვარების გზებს, სტატისტიკური მონაცემებიც, რომელიც სკოლაში ჩატარებული კვლევის შედეგად იქნება მიღებული თვალსაჩონოდ წარმოაჩენს ძალადობის ყველა ფორმას. მიღებული შედეგების გაზიარება მოსწავლეებს შეუძლიათ თავისი თანატოლებისთვის, საზოგადოებისთვის ბლოგების საშუალებეით.

მსგავს პროექტებში დასკვნით ეტაპზე მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა საშუალება, მაგალითად, გამოსცეს წიგნი, მოაწყოს ნახატების გამოფენა, კონკურსი და ა.შ., ეს დამოკიდებულია პროექტის მიზანსა და შედეგებზე.

პროექტის ბოლოს მოსწავლეები მიიღებენ განმსაზღვრელ შეფასებას, შეფასების სარეკომენდაციო ცხრილი შეგიძლიათ იხილოთ: დანართი №4. პროექტის მსვლელობისას კი მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს განმავითარებელი შეფასება, განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი სახე იქნება ბეიჯები, რომლებსაც მიანიჭებს მოსწავლეებს. ეს შეფასება საშუალება იქმნება საიტზე **www.openbadges.me** (15/07/19). ბეიჯები შეგვიძლია დავყოთ სამ დონედ:

- ოქრო- https://app.openbadges.me/view/#!/badge?badgeid=65b5db19-6463-4b2c-b4ae-193835631016
- ვერცლი -https://app.openbadges.me/view/#!/badge?badgeid=a8a08f04-4b46-435c-a4a7-45ce150a7356
- ბრინჯაო- https://app.openbadges.me/view/#!/badge?badgeid=f99f1259-76e2-49c0-a9f0-fe7816927302

ვფიქრობ, რომ განმავითარებელი შეფასების ეს ტიპი აამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას პროექტში. პროექტის ან ნებისმიერი სამუშაოს შეფასების რუბრიკა შეგიძლიათ შექმნათ ონლაინ, საიტზე http://rubistar.4teachers.org/index.php (15/07/19). მისი გაგზავნა მოსახერხებელი იქნება მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის ან დაინტერესებული პირებისთვის, ასევე შეგიძლიათ ამ ფორმის ამობეჭდვაც. იხილეთ ნიმუში: http://rubistar.4teachers.org/index.php?screen=ShowRubric&rubric_id=2746420

მასწავლებლის შეფასებასთან ერთად პროექტში საჭიროა მოსწავლეთა თვითშეფასებაც, სადაც ისინი შეაფასებენ მიღწევებსა და მოლოდინებს, დააფიქსირებენ მიზნება და შედეგებს, გამოხატავენ თავის აზრს პროექტზე, იფიქრებენ შეცდომების გამოსწორების გზებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გაითვალისწინებენ შემდეგი პროექტისათვის (იხ. დანართი №2). პროექტის დასკვნით ეტაპზე მასწავლებელიც აფასებს თავის თავს და თავის როლს პროექტში, აღნიშნავს პროექტის დადებით და უარყოფით მხარეებს (იხ. დანართი №3).

პროექტის მსვლელობისას მასწავლებელი წერს პრობლემურ შემთხვევებს, რასაც ქეისებით სწავლების ტექნოლოგია ეწოდება და მოსწავლეებს ავალებს პრობლემის მოგვარების გზების ძიებას. თითო ჯგუფს ურიგდება თითო ქეისი და ეძლევათ განსაზღვრული დრო. ქეისების, ანუ შემთხვევების ანალიზი როლურ და სიმულაციურ თამაშებთან ერთად მიეკუთვნება სწავლების იმ ინტერაქტიულ სტრატეგიათა რიცხვს, რომლებიც მოსწავლეს რეფლექსიური და გადაწყვეტილების მიღებისაკენ ორიენტირებული ქცევისადმი განაწყობს. მისი მიზანია მოსწავლეს განუვითაროს ანალიტიკური, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნება და დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი.

ქეისებით სწავლების სტრატეგია შეგვიძლია გამოვიყენოთ, პროექტის დაწყების პირველ კვირას, მოსწავლეთა ცოდნის გასააქტიურებლად და მოტვაციის ასამაღლებლად. ქეისების ანალიზის არსი ის არის, რომ მოსწავლეები მსჯელობენ პრაქტიკიდან მოპოვებულ/ ცხოვრებისეულ შემთხვევებზე და ჯგუფური დისკუსიით ეძებენ ალტერნატიული გადაწყვეტილებებს, ასაბუთებენ მათ მართებულობასა და საჭიროებას. ჩვეულებრივ, ქეისების განხილვა ხდება პატარა ჯგუფებში (ოთხიდან ექვს კაცამდე), რომლებიც ,,საქმის მასალებს“ ეცნობიან, შეიმუშავებენ წინადადებებს და მათ აუდიტორიას წარუდგენენე. ამ დროს მოსწავლეები სწავლობენ ინფორმაციის შეკრებას, კითხვების დასმას, მასალის შეფასებას, ალტერნატიული გზების ჩამოყალიბებას, გადაწყვეტილების მიღებას და სხვა. დიდაქტიკურად სწორად წარმართული შემთხვევის ანალიზის დროს შეგვიძლია გამოვიყენოთ სხვადასხვა თვალსაჩინო მასალა - ცხრილები, დიაგრემები, ფოტოსურათები, ფილმები, კარიკატურები და სხვა.

პროექტი წარმატებულად ჩაითვლება თუ, ყველა დასახულ მიზანს მივაღწევთ, შედეგები/ საბოლოო პროდუქტი თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კორექტული ფორმით იქნება წარმოდგენილი, მოსწავლეები გამოავლენენ თავის შესაძლებლობებს და განუვითარდებათ სხვადასხვა უნარი.

თავი III. პროექტით სწავლების მეთოდიკური საფუძვლები გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით (საბაზო საფეხური)

პროექტით სწავლებას სჭირდება სხვადასხვა რესურსი. უმნიშვნელოვანესია, საბაზო საფეხურის სახელმძღვანელოების როლი ამ პროცესში. 2019 წელს გრიფი მიენიჭა ვ. როდონაიას ხელმძღვანელობით შექმნილ ქართული ენისა და ლიტერატურის VII კლასის სახელმძღვანელოს, რომელიც შედგება ორი ნაწილისა და მასწავლებლის წიგნისგან. ქართულის სწავლებისას ხშირად, სწორეს ამ ავტორთა სახელმძღვანელოებს იყენებენ. გრიფი აქვს მისანიჭებელი VIII –IX სახელმძღვანელოებს. ჩვენ გავაკეთეთ სახელმძღვანელოს თემატური ბლოგების ანალიზი, რათა დაგვედგინა, როდის და რა საკითხის გატანა შეეძლო მასწავლებელს სასწავლო პროექტად. მეშვიდე კლასის სახელმძღვანელო შედგება ოთხი თავისა და ოცდაორი პარაგრაფისგან. ყოველ თავს თავისი თემა აქვს და აერთიანებს 2 ან 3 პარაგრაფს. ეს თემებია: ,,ცოდნა ანთებულ სანთელს ჰგავს“, ,,ჩვენი ემოციები“, ,,რას გვიამბობენ სიყვარულზე“, ,,ჩვენი უნთიერთობები“, ,,სამშობლო უფრო ღრმადაა“, ,,კავშირი ბუნებასთან“, ,,პერსონაჟის პორტრეტი ინტერიერში და მის გარეთ“, მეოთხე თავი მთავრდება თემით ,,გმირები“. თემაში ,,ცოდნა სანთელს ჰგავს“, შედის უმბერტო ეკოსა და მარსელ პრუსტის ნაწარმოებები სათაურით ,,წიგნი თუ კომპიუტერი“,

ეს თემა 2006 წლის გრიფირების შემდეგ არ შეცვლილა, წიგნისა და კომპიუტერის შეპირისპირება, ვფიქრობთ, უკვე აღარაა აქტუალური, რადგან წიგნს თავისი ადგილი დამკვიდრებული აქვს. პროგრამის მიხედვით ეს ტექსტები სავალდებულო არ არის, მასწავლებელს შეუძლია ამ ტექსტებისთვის გაანკუთვნილი დრო გამოიყენოს თემის ასარჩევად, ამოცანების დასასახად. მაგალითად, ,,რა შეუძლიათ ლექსებს“. პროექტი დაიწყება ლადო ასათიანის, ანა კალანდაძის, ომა წიკლაურისა და ბესიკ ხარანაულის ლექსების სწავლის შემდეგ. პროექტის მიზანი იქნება ამ პარაგრაფში ჩამოთვლილი ლექსების მხატვრულობაზე მუშაობა, მეთოდად გაოყენებული იქნება ნიშანთა სისტემა პროექტის მსვლელობისას. იმ შემთხვევაში, თუ მეშვიდე კლასისთვის ქართული ლიტერატურის სწავლებაში ეს პირველი პროექტი აღმოჩნდება, მასწავლებელი მიზნის

მისაღწევად შედარებით დიდ დროს გამოყოფს. ამის პარალელურად მიმდინარეობს საგაკვეთილო პროცესი. მოგეხსენებათ გაკვეთილის ხანგრძლივობა 45 წუთია, ყოველდღიური გეგმების შესრულებას დასჭირდება ეს დრო. უმჯობესა, მასწავლებელმა მოსწავლეები მონიტორინგისა და შეფასებებისათვის დამატებით საათებზე დაიბაროს. მიღწეული შედეგები კი წარმოადგინონ შემაჯამებელ გაკვეთილზე. ზოგჯერ, მასწავლებლებს ჰგონიათ, რომ წიგნში მოცემული ყველა ტექსტი სავალდებულოა, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სავალდებულოა მხოლოდ სტანდარტში მოცემული ავტორის ტექსტები, დანარჩენი წარმოადგენს დამატებით საკითხავს და მისი ჩანაცვლება ჩესაძლებელია. სწორედ ამ დროს ვთავაზობთ მასწავლებლებს პროექტების განსახორციელებლად. რადგან, მეშვიდე კლასის სახელმძღვანელო ახალოს ახალი გრიფი აქვს, თემატური გეგმები მოგვიანებით იქნება მზად, რაც უფრო ზუსტი მსჯელობის საფუძველს მოგვცემს.

ქართული ენისა და ლიტერატურის მერვე კლასის სახელმძღვანელო ჯერ არ განახლებულა, ამიტომ გავნვიხილოთ 2012 წლის გამოცემა. იგი შედგება ოცი თემატური ბლოკისგან და აერთიანებს ორმოცდაექვს ტექსტს, მათი უმეტესობა სავალდებულოა. ჩამოვთვალოთ რამდენიმე თემატიკა: ,,მე ვარ ადამიანი“, პირისპირ“ (ეს თემა აერთიანებს რევაზ ინანიშვილის ორ სავალდებულო ტექსტს ,,წიგნი“, ,,პატარა ბიჭი გოლგოთაზე), ეს თემა შეგვიძლია გავიტანოთ პროექტში და გავაკეთოთ ინტეგრირებული ისტორიის საგანთან. ,,რატომ უნდა ვიკითხოთ კლასიკოსები“ ამ თემისათვის განკუთვნილი დროის გამოყენება შესაძლებელია პროექტზე მუშაობისას, რადგან შეიცავს არასავალდებულო ტექსტს. ისტორიის საგანთან ინტეგრირების კიდევ ერთი პროექტი იქნება ,,პოემა აჩრდილი“, რომლის ნაწყვეტიცაა შეტანილი სახელმძღვანელოში. შემოქმედებითი უნარების განვითარებისთვის კარგი საშუალებაა დავით კლდიაშვილის მოთხრობის ,,დარისპანის გასაჭირი“ პროექტად გაკეთება. პროექტი დაიწყება დეკლარატიული კითხვით, გაგრძელდება აფიშების გაკეთებით, მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად დადგამენ სპექტაკლს, მოამზადებენ რეკვიზიტებს. დაწერენ ესეებს პერსონაჟთა ხასიათის თავისებურებების შესახებ. ამ ყველაფერს კი წარადგენენ შემაჯამებელ ღონისძიებაზე. დავალებების შესრულება შესაძლებელია ჯგუურად და ინდივიდუალურად. ჯგუფური მუშაობის შემთხვევაში

მონაწილეებს გამოუმუშავებდებათ ჯგუფური მუშაობის უნარი და შემოქმედებითობა. პროექტისთვის ასევე საინტერესოა თემები: ,,სიბრძნის გაკვეთილები“, ,,როგორ იქცა ნამდვილი ამბავი ნოველის სიუჟეტად“ - ამ თავის შესწავლის შემდეგ მოსწავლეებს უკვე ეცოდინებათ, რა არის ნოველა, მისი სტილი და მიზანი. მასწავლებლის დავალებით შეძლებენ დამატებითი ინფორმაციის მოძიებას, ხელმძღვანელის მოვალეობა ინტერესის გაღვივება იქნება, რომ თვითონ მონაწილეებმა გამოთქვან სურვილი ნოველების შექმნის, ამ პროექტის ფარგლებში შეგვიძლია ვიზრუნოთ მხატვრული და ესთეტიკური გემოვნების განვითარებაზე, რასაც ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტი მოითხოვს.

მეცხრე კლასის როდონაიას საავტორო სახელმძღვანელო შედგება რვა თავისა და ოცდაჩვიდმეტი ლიტერატურული ტექსტისგან. თემატურად ეს ტექსტები ასეა დალაგებული: ,,საუკუნო საგზალი“, ,,კარგ ქართველთა ხსოვნისათვის“, ,,ფესვები“, ,,საკუთარი თავის ძიებაში“, ,,ლექსი ერთი რამ არის ამ სოფლის საქმეში“, ,,სიბრძნე სიცილისა“, ,,ლიტერატურა და ისტორია“, ,,უკვდავი პერსონაჟი“. პროექტისათვის ყველაზე საინტერესოა ,,ფესვები“ და ,,ლიტერატურა და ისტორია“. პირველ თავში შედის ნიკო ლორთქიფანიძის ,,საშობაო მინიატურები“. მეცხრე კლასის მოსწავლეებს ამ ტექსტების გააზრება და პარალელების გავლება შეუძლიათ წართულსა და აწმყოსთან. პროექტის ფარგლებში გაკეთდება მხატვრული ანალიზები, წაიკითხავენ კრიტიკოსთა მოსაზრებებს, დამატებით ტექსტებს. პროექტის მიზანი იქნება ქართველ მწერალთა მინიატურების გააზრება მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში. ამისათვის მონაწილეებს მოუწევთ უცხოურ მწერალთა მინიატურების შეკრება, გადანაწილება და მოზაიკის სტრატეგიით მათი ერთმანეთისთვის გაზიარება. ამ პროცესში შეიძლება ჩართული იყოს საბაზო საფეხურის სამივე კლასის მოსწავლეები. ენობრივ მხარესაც მივაქციოთ ყურადღება, პროექტში შეგვიძლია შემოვიტანოთ სამენოვანი ტექსტები, ქართული, როგორც მშობლიური, ინგლისური, როგორც საერთაშორისო ენა და კიდევ ის უხცო ენა, რომელიც ყველაზე კარგად ეცოდიენებათ მონაწილეებს. სამ ენაზე მუშაობა გაამდიდრებს ლექსიკურ მარაგს, მოსწავლეები აქტიურად დაიწყებენ ლექსიკონებზე მუშაობას. პროექტი საინტერესო იქნება კიდევ იმით, რომ ბევრ ერთმანეთისგან განსხვავებულ აზრს მოისმენენ, წაიკითხავენ და შექმნიან საბოლოო

პროდუქტს. კიდევ ერთი პროექტის იდეა, რომელიც შეგიძლიათ განახორციელოთ, მოდის თემიდან ,,ლიტერატურა და ისტორია“, ამ პროექტის გეგმა შეგიძლიათ იხილოთ დანართში №7, სქემა აღებულია ინტერის პროექტის გეგმებიდან.

მოსწავლის წიგნთან ერთად განვიხილეთ მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელოებიც, უპირველესად, გავაანალიზოთ ვ. როდიოაიას საავტორო წიგნი, რომელიც მოიცავს: სახელმძღვანელოს დანიშნულებასა და სტრუქტურას, ეროვნულ სასწავლო გეგმას, გაკვეთილის დაგეგმვის ზოგად პრინციპებს, გაკვეთილის ნიმუშს, შეფასების ფორმებსა და რეკომენდაციებს, ენობრივი მასალის კომენტარებს. სახელმძღვანელო. მასწავლებლის დამხმარე მეთოდიკური წიგნი არ გვაწვდის ინფორმაციას ამა თუ იმ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მეთოდების, სტრატეგიებისა და ტექნოლოგიების შესახებ. მოსწავლის წიგნი შვიდჯერ აღემატებოდა მასწავლებლის წიგნს, როგორც ჩანს, ახალი სახელმძღვანელოს გამოცემის შემდეგ ეს თანაფარდობა შემცირდა და მეტი მეთოდიკური ორიენტირი შევიდა ქართულის მასწავლებლის სახელმძღვანელოში. მეთოდიკური კუთხით უფრო დახვეწილია ნ. მაღლაკელიძის ავტორობით გამოცემულ მოსწავლის წიგნს ამ წელს გრიფი ჯერ არ მიუღია, ამოტომ შევაფასოთ მასწავლებლის წიგნი. თეორიულ ნაწილთან ერთად, მოცემულია რამდენიმე გაკვეთილის ნიმუში, ამასთანავე, მასწავლებლის წიგნში გვხვდება თემატურად ზუსთად ისევე დალაგებული მასალა, როგორც აღნიშნული ავტორის მოსწავლის სახელმძღვანელოშია. მოყვანილ გაკვეთილის გეგმებში აღწერილია ის სწავლების სტრატეგიები, რომელიც ინოვაციურად ითვლება. ნ. მაღლაკელიძის საავტორო წიგნს ახლავს მწერალთა მოკლე ბიოგრაფიებიც.

ორივე ავტორის მიერ შეთავაზებული მასწავლებლის მეთოდური სახელმძღვანელო ითხოვს დახვეწას. საჭირო ხდება ტერმინთა განმარტებების დამატება. მრავალფეროვანი სტრატეგიებისა და ტექნოლოგიების ჩართვა, გეგმის ნიმუშების დამატება, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს მარტივად შეეძლოს სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა. დღეისთვის არსებული მოსწავლის სახელმძღვანელოები საშუალებას გვაძლევს, დავგეგმოთ და განვახორციელოთ ქართული ენისა და ლიტერატურაში ერთი პროექტი ერთი სემესტრის განმავლობაში. აქტიურად ამ სტრატეგიის გამოყენებას აფერხებს დიდი მასალა სავალდებულო

ლიტერატურისა. გრიფმინიჭებული წიგნების შესახებ პრეზენტაცია შეგიძლიათ იხილოთ სქოლიოში მითითებულ ბმულზე[3].

ენის სასწავლო წიგნი გაუმჯობესებულია. წინა წლებში ენის სწავლებას დიდი დრო არ ეთმობოდა და მოსწავლის სახელმძღვანელო ძირითადად ლიტერატურულ ტექსტებს მოიცავდა. ვ. როდონაიას საავტორო სახელმძღვანელოს თავების შემდეგ დართული ჰქონდა გრამატიკული ნაწილი, მაგრამ ეს არ იყო თანმიმდევრობითი და უშუალოდ, ტექსტიდან გამომდინარე ხდებოდა ქართული ენის გრამატიკის თემების განხილვა. ახალ გამოცემაშ კი ენის ნაწილი წალკე წიგნადაა. მეშვიდე კლასის მოსწავლეები სწავლობენ მეტყველების ნაწილებს ნაცვალ სახელის ჩათვლით. წიგნში ბევრი სქემა და შესავსები ცხრილი გვხვდება, მაგალითად, მეტყველების ნაწილები წარმოდგენილია სქემატურად შინაარსის, ფორმაცვალებადობისა და ფუნქციების მიხედვით. ასეთი ფორმა კი აუმჯობესებს ტექსტის დამახსოვრებას. ყოველ თავს დასაწყისში დართული აქვს მიზანი, რაც მასწავლებელს დაეხმარება ნასწავლი მასალის შეფასებაში.

ქართული ენისა და ლიტერატურის გრიფირებული სახელმძღვანელოები მეთოდიკურად ნაკლებადაა დამუშავებული, თუმცა თემატური ბლოგები ბევრ საინტერესო თემას გვაძლევს პროექტებისათვის.

[3] http://zunal.com/webquest.php?w=385607

კვლევითი ნაწილი

კვლევის ზოგადი აღწერა

დოკუმენტაციის ანალიზის პროცესში ვიხელმძღვანელეთ თვისებრივი კვლევით. დამატებითი ინფორმაციის მოპოვებისა და სუბიექტურობის თავიდან აცილების მიზნით გამოვიყენეთ ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთიდი. საკვლევად ავიღეთ საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის 30 სასწავლო და სოციალური პროექტი. შევადარეთ ისინი ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურის სტანდარტს.

კვლევის დიზაინი და მეთოდი

რესპონდენტები და პროექტები შევარჩიეთ მიზნობრივად. პროექტების მისაღებად დავუკავშირდით ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებს, მივწერეთ მეილებსა და პირად შეტყობინებებში, პროექტებზე წვდომის მოთხოვნა გავუგზავნეთ google drive-ზე, ზოგიერთმა დაადასტურა მოთხოვნა მეილით და მოგვცა საშუალება წაგვეკითხა მათ მიერ დაწერილი პროექტი. ის პედაგოგები, რომელთაც პირად შეტყობინენებში ვწერდით, ყველაზე მეტად ცდილობდნენ ჩვენს დახმარებას, განსაკუთრებით, პედაგოგები: ლალი ალელიშვილი, მანანა ყოჩიაშვილი, თეა ხუბუა. მეილზე გაგზავნილ შეტყობინებებზე მხოლოდ ერთი პასუხიმივიღეთ. კვლევის პროცესში სირთულე ის იყო, რომ წინასწარ არ ვიცოდით სად და რომელი მასწავლებელი იყენებდა პროექტებს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას, ამიტომაც უპირველესად მასწავლებელთა ბლოგები შევამოწმეთ, სადაც მათი პორტფოლიოები იყო განთავსებული, როგორც ვიცით, პროექტგაკვეთილი პორტფოლიოს ერთ- ერთი შემადგენელი ნაწილი იყო კრედიტების დაგროვების გზაზე.

კველევის დაწყებამდე დავინტერესდით, რომელი ორგანიზაცია ან სასწავლო ცენტრი უზრუნველყოფს პროექტით სწავლების დანერგვას სკოლებში, ამისთვის დავუკავშირდითთავისუფალ უნივერსიტეტში შექმნილ კომპანიას,,future laboratory“. ამ კომპანიის მიზანი თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და მოსწავლეებში ოცდამეერთე საუკუნის უნარების განვითარებაა. დავესწარით მათ პრეზენტაციებს, მოვისმინეთ მიზნებისა და მიღწეული შედეგების შესახებ, გავეცანით მასწავლებლებისა და მოსწავლეების შესაფასებელ დოკუმენტებს. ამის შემდეგ,ვეწვიეთ ,,ევროპულ

სკოლას“ და დავესწარით პროექტის განხორციელების პროცესს, ვაკვირდებოდით მოსწავლეთა საქმიანობას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ პრაქტიკის ფარგლებში საშუალება გვქონდა დავსწრებოდით 133-ე საჯარო სკოლაში მიმდინარე და შემაჯამებელ პროექტებს, რომელსაც ახორციელებდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნინო ქვრივიშვილი. ერთი- ერთი პროექტი ტარდებოდა მერვე კლასის მოსწავლეების მიერ და ეხებოდა ძალადობას თემას სკოლაში. მოსწავლეებმა მასწავლებლის მითითებით ჩაატარეს კვლევა, კვლევის შედეგები კი წარმოადგინეს პრეზენტაციის სახით შემაჯამებელ გაკვეთილზე. აღნიშნული პროექტი მასწავლებელმა გამოიყენა სამოდელო გაკვეთილისთვისაც. კიდევ ერთი პროექტი დაკავშირებული იყო ,,დედაენის“ დღესთან, ამ პროექტში ჩართული იყვნენ სხვადასხვა კლასის მოსწავლეები. შემაჯამებელ ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო მინისპექტაკლი ქართული ანბანის შესხებ, რეფერატები, მოსწავლეების ხელით შექმნილი რეკვიზიტები,მოსწავლეები კითხულობდნენ ლექსებსა და ნაწყვეტებს ნაწარმოებებიდან. პროექტი დასრულდა მოსწავლეების დაჯილდოებით. კიდევ ერთი ,,პროექტის“ კეთების პროცესს დავესწარით ,,თბილისის მწვანე სკოლიში“, მერვე კლასში მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა ინტერნეტიდან სამონადირეო მითოსსა და სამონადირეო წესების შესახებ ინფორმაციის მოძიება. რადგან პარასკევი დღე იყო, მათ ეს სამუშაო შაბათ- კვირას უნდა შეესრულებინათ, ორშაბათისთვის კი ერთ- ერთ მოსწავლეს დაავალა ფორმატის ქაღალდის მოტანა, მოძიებულ ინფორმაციას კი მასზე გადაიტანდნენ და შემდეგ, კედელზე გამოაკრავდნენ. ამ აქტივობამ ჩვენი ყურადღება იმიტომ მიიქცია, რომ მასწავლებლმა თქვა: ,,ეს იქნება თქვენი პროექტი“, ისე, რომ მათვის არ აუხსნია ,,პროქტის“ მიზანი, ამოცანები, მისაღწევი შედგები. ეს აქტივობა არ იყო რომელიმე უნარის განვითარებაზე ორიენტირებული, გარდა ინფორმაციის მოძიებისა. ასეთ აქტივობებს პროექტებს ვერ დავარქმევთ, რადგან ამ ტექნოლოგიას თავისი გეგმა და ეტაპები აქვს.

ჩაღრმავებულ ინტერვიუზე დაგვთანხმდა მხოლოდ ოთხი მასწავლებელი, ზოგიერთმა მოგვწერა, რომ რეფლექსიებს გამოგვიგზავნიდნე და იქ ვიპოვიდით ჩვენთვის საჭირო პასუხებს. რესპონდენტებს თავიდანვე განემარტათ ინტერვიუს

მიზანი. მათთვის დასმული იყო ღია კითხვები, რომლებიც შევიმუშავეთ ლიტერატურის გაცნობისა და ქართული ენისა და ლიტერატურის პროექტების ანალიზის საფუძველზე.გთავაზობთ მათ პასუხებს:

1.რა არის პროექტით სწავლების ტექნოლოგია და რა მიზანი აქვს მას?

გამოკითხულ მასწავლებლებს კარგად ესმით რა არის პროექტი და რა მიზანი აქვს მას, რადგან თვითონ იყენებენ სწავლების ამ ტექნოლოგიას , მაგრამ გვხვდება ტერმინოლოგიური უზუსტობა, ისინი იყენებენ ტერმინებს ,,პროეტების მეთოდი" ან ,,პროექტული სწავლები მეთოდი", ამიტომ კითხვარში შევიტანეთ სიტყვის ,,ტექნოლოგია" განმარტებაც:

,,პროექტი მიზანმიმართული სამუშაოა. ზოგს ჰგონია, რომ ერთ - ორ გაკვეთილში რაღაცას იზამენ და ეგაა პროექტი. ეგ უფრო პროექტგაკვეთილი გამოდის. მაგალითად, სოციალური პროექტი საზოგადოებაზეა გათვლილი, ანუ თქვენ რასაც აკეთებთ იმაში საზოგადოებაც უნდა ჩართოთ, ხოლო სასწავლო პროექტი კონკრეტული საგნის, კონკრეტულ უნარებს ავითარებს დამატებითი აქტივობებით"

,,პროექტებით სწავლების ტექნოლოგია ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მოსწავლეებს ახალ უნარებს უვითარებს"

,,პროექტი აქტიური სწავლების საშუალებაა, ის სოციალური და სასწავლოა, ორივე საინტერესოა. ნასწავლის ორგანიზებას უწყობს ხელს"

,,მასწავლებლისა და მოსწავლეების ერთობლივი სამუშაო, კონკრეტული უნარების განვითარების მიზნით და პრობლემური საკითხის გადასაწყვეტად".

2. რა მიზნით და როდის აკეთებთ პროექტებს?

პროექტები კეთდება ზოგ შემთხვევაში, კრედიტების დაგროვების მიზნით. ამიტომ ვკითხეთ მიზანი. თითიეულმა მათგანმა განაცხადა, რომ მოსწავლეა მათთვის ობიექტი და არა დოკუმენტაცია. ერთ- ერთმა მათგანმა თქვა, რომ საკმარისზე მეტი კრედიტი აქვს დაგროვებული და პროექტებს სიამოვნებით აკეთებს:

,,ვისთვის როგორ, მე კრედიტი აღარ მჭირდებოდა, საკმარისზე მეტი მქონდა, თუმცა ბოლო პროექტი სიამოვნებით გავაკეთე, რადგან გავაკეთე, ავტვირთე კიდეც".

მასწავლებლების პასუხებიდან გამომდინარე, ვხვდებით, რომ პროექტებს შუა სემესტრში ან სწავლის დასასრულს აკეთებენ, სემესტრის შესაჯამებლად. მაგალითად

შეგვიძლია მოიყვანოთ 208_ე საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მიერ ჩატარებული პროექტი, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრების გზის შესწავლას ისახავდა მიზნად. აღნიშნული პროექტით დაასრულეს სასწავლო საფეხური.

3. რა დრო გაქვთ გათვლილი პროექტის განსახორციელებლად?

,,შესაძლოა იყოს ერთ კვირიანი, მაგრამ ამავე დროს შესაძლოა გააკეთო სემესტრზე გათვლილი პროექტი. თუმცა, როდესაც ვიწყებთ პრაქტიკაში გამოყენებას სჯობს მოკლევადიანით დავიწყოთ და ყოველი შემდეგი გავახანგრძლივოთ. მე ზუსტად ასე გავაკეთე, 4 პროექტი მაქვს გაკეთებული და ბოლო გავწერე მხოლოდ სემესტრულად".

,,მთელი სემესტრი ვაკეთებდით პროექტს და სემესტრის ბოლოს შევაჯამეთ"

,,სკოლაში ჩავატარებინე კვლევა და ორი კვირა დასჭირდათ"

,,წინასწარ არ ვიცი ხოლმე, მოსწავლეებზეა დამოკიდებული თუ როგორ მოასწრებენ".

უნდა აღვნიშნოთ, რომ რესპონდენტები არ ასახელებენ შუალედურ მონიტორინგის დროს, არ აქვთ შეხვედრების ოქმები და შეფასებები პროექტის მიმდინარეობის შესახებ.

4. რა დრო გჭირდებათ მოსამზადებლად, სანამ პროექტის განხორციელებას დაიწყებთ?

,,წინასწარ, ზაფხულში მაქვს მონახაზი, თუ რას გავაკეთებ მომდევნო წელს და რა მჭირდება ამისთვის. ამ წლის განმავლობაში 4 პროექტის განხორციელებას ვაპირებდი, მაგრამ მხოლოდ 2 განვახორციელე. ვფიქრობ ერთი კვირა სრულიად საკმარისია რომ მოემზადო და დაიწყო"

,,ორი კვირა დამჭირდა გეგმის დასაწერად"

,,პროექტის დაწყებას წინა აქტივობებიც აქვს, მაგ., გადაწყვიტე ამა და ამ თემაზე, ჯერ უნდა გააცნო მოსწავლეებს, დაინტერესო. თუ ხედავ, რომ მათი ინტერესების სფეროს ვერ ავითარებ, მაშინ აზრი არ აქვს. მხოლოდ კრედიტებისთვის გამოვა ქაღალდების შეგროვება".

,,ბოლო პროექტისთვის დამჭირდაერთი თვე".

5. რა უპირატესობები აქვს პროექტით სწავლების ტექნოლოგიას?

გამოკითხული მასწავლებლები ერთხმად აღიარენ, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას პროექტი ეფექტიანია. მოტივაციაა პროექტი და ყოველთვის სიხარულით ერთვებიან საქმეში მათი მოსწავლეები. ეს ტექნოლოგია ძიებითი და კვლევითი უნარების განვითარებას უწყობს ხელს. მთავარია, საინტერესო თემა შეარჩიოს მასწავლებელმა. აქვე უნდა აღვნიშნოთ არაერთი პროექტის ავტორის, ლადო აფხაზავას ნათქვამიც, ჩვენთან საუბრისას მან უპირატესობა სოციალურ პროექტებს მიანიჭა. მისი თქმით, მოსწავლეებს საზოგადოებრივი პრობლემები გადაჭრა ახალისებს დამათში ინტერესს იწვევს სკოლისგარეშე დაწესებულებების ჩართვა სასწავო პროცესში.

6. რა დადებითი და რა უარყოფითი მახასიათებლები აქვს პროექტით სწავლებას?

დადებით მახასიათებლად მასწავლებლებმა დაასახელეს ის, რომ მოსწავლეები თვითონ ინაწილებენ დავალებებს შესაძლებლობების მიხედვით, ერთმანეთს უზიარებენ აზრებს, ჯგუფური მუშაობისას მოსწავლეებს აქტიური კონტაქტი აქვთ ერთმანეთთან, უმეგობრდებიან ერთმანეთს. ინტერესდებიან და ითხოვენ ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩართვას პროცესში, პროექტები მოსწავლეებს საზოგადოების წინაშე გამოსვლის შიშის დაძლევაში ეხმარება. მათი თქმით უარყოფითი მახასიათებლები კი ის არის, რომ პროექტის დასაწყისში ყველას სურს ლიდერობა, ზოგიერთი მოსწავლე ცდილობს თავი აარიდოს სამუშაოს,

7. რა პრობლემები გექმნებათ პროექტით სწავლების ტექნოლოგიის გამოყენებისას?

რესპონდენტები პრობლემად ასახელებენ დროს, რომელიც სემესტრული გეგმის განსახორციელებლადაა საჭირო და ამის პარალელურად პროექტი, რომელიც ხშირად დამატებით საათებს მოითხოვს სამუშაოდ.

,,წიგნებში ბევრი მასალაა და ზოგი ტექსტი გვრჩება ახსნის გარეშე, ამის პარალელურად რამდენიმე პროექტის კეთება შეუძლებელია. მოსწავლეები გადართულები იქნებიან პროექტის თემაზე და ახალი ახსნილი მასალა დარჩება გაუაზრებელი (უსწავლელი). სემესტრში ერთი პროექტი საკმარისი იქნება, თუ მთლიან სემესტრს გამოვიყენებთ მისი მზადების პროცესში“.

ამასთანავე, შემაფერხებელ მიზეზებად დაასახელეს რესირსებისა და ტექნიკური მხარდაჭერის ნაკლებობა. კითხვაზე, რამდენად ახერხებენ ეთი პროექტის ფარგლებში სხვადასხვა კლასის მოსწავლეების ჩართვას, ორმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ გაუკეთებია ასეთი პროექტი, მაგრამ მონაწილეები ისევ თავის კლასელებთან ამჯობინებენ მუშაობას და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აკეთებენ სამუშაოს. გამოკითხული მასწავლებელები პროექტების კეთებისას უპირატესობას ანიჭებენ ჯგუფურ დავალებებს. ერთ- ერთ რესპონდენტის თქმით, სემესტრის დასაწყისში წერს ჯგუფების სიას და მთელი სემესტრის განმავლობაში, ამ ჯგუფებს აძლევს დავალებას, ისე, რომ მონაწილეებს არ ცვლის სემესტრის ბოლომდე. მოსწავლეებს არჩევს ,,ძლიერებისა“ და ,,სუსტების“ მიხედვით და ამგვარად ანაწილებს ჯგუფში.

რესპონდენტებს ვკითხეთ, რა რესურსებს იყენებენ პროექტებზე მუშაობისას. მათ გვიპასუხეს, რომ ძირითადად მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელოებს, ინტერნეტ რესურსებთან ერთად. კიდევ ერთი კითხავა, რაც დავსვით, ეხებოდა პროექტის ინიციატივას. პედაგოგებმა განმარტეს, რომ ინიციატივა ძირითადად მათგან მომდინარეობს, კონკრეტული თემის გავლის შემდეგ ატარებენ გამოკითხვას, თუ ჩათვლიან, რომ დამატებითი აქტივობები საჭირო ხდება თემის სიღრმისეულად შესასწავლად, ამ შემთხვევაში იწყებენ პროექტის გეგმებზე მუშაობას.

კვლევისას კითხვარი გავაკეთეთ საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვისაც, რათა გაგვეგო რა იყო მათი მოტივაცია ამა თუ იმ პროექტებში მონაწილეობისას ან მოსწონდათ თუ არა სწავლების ეს ტექნოლოგია. მოსწავლეებმა კითხვარის შევსება არ ისურვეს, მიუხედავად იმისა, რომ თავიდანვე განმარტებული გვქონდა კვლევის მიზანი.

დასკვნები:

- ✓ პროექტით სწავლების ტექნოლოგიას ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე შესაბამისი ყურადრება არ ექცევა, რაც ერთი მხრივ გამოწვეულია სავალდებულო ლიტერატურის დიდი მასალით, ხოლო მეორე მხრივ, ამ მიმართულების მეთოდიკური სახელმძღვანელოების ხელმიუწვდომლობით;
- ✓ პროექტებით სწავლების ტექნოლოგიის დანარგვა სასწავლო პროცესში ითვლება უცხო ენის პედაგოგთა უპირატესობად, ამავეს მოწმობს განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული ტრენინგი პროექტებით სწავლებაზე, რომელსაც მხოლოდ უცხო ენის მასწავლებლები ესწრებოდნენ;
- ✓ საბაზო საფეხურზე, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები პროექტებით სწავლების ტექნოლოგიით გაანალიზებული არ არის;
- ✓ საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის პროექტების ანალიზმა გვიჩვენა, რომ პროექტებით სწავლებას ზოგიერთი პედაგოგი იყენებს, როგორც კრედიტის დაგროვების საშუალებას და ხშირ შემთხვევაში გეგმებში წერენ დასახული მიზნებისა და შედეგების შეუსაბამო დროა და აქტივობებს;
- ✓ საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის პროექტების ანალიზმა გვიჩვენა, რომ სტანდარტის მოთხოვნებიდან ვერ ან ნაკლებად ფარავენ ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებასა და ეთიკას;
- ✓ სტანდარტის მიზნებიდან ნაკლებად ექცევა ყურადღება მოსწავლეებში მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნების განვითარებას, სხვა კულტურების პატივისმცემელი პიროვნებად ფორმირებას;
- ✓ ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები ნაკლებად ან საერთოდ არ ატარებენ სოციალურ პროექტებს;
- ✓ მაღალმთიან რაიონებში მოსწავლეების რაოდენობა ნაკლებია, მაგრამ მასწავლებლები უფრო აქტიურად ახორციელებენ პროექტებს სწავლებისას.
- ✓ ხშირად გვხვდება ტექმინოლოგიური უზუსტობები. რესპონდენტებს უჭირდათ მეთოდისა და ტექნოლოგიის ერთმანეთისგან განსხვავება;

- ✓ პრაქტიკის დაკვირვებიდან შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის ზოგიერთ მასწავლებლებს ზუსტად არ ესმის პროექტით სწავლების ტექნოლოგიის არსი და მნიშვნელობა;
- ✓ არ არსებობს ერთიანი პლათფორმა, რომელშიც კონკრეტული საგნის კონკრეტული საფეხურის პედაგოგები შეძლებენ პროექტის გეგმების ატვირთვას ან ჩამოტვირთვას;
- ✓ პროექტისთვის განკუთვნილი გეგმა ოფიციალურად არ აქვს განათლების სამინისტროს დამტკიცებული.

რეკომენდაციები:

- ✓ ვფიქრობთ, საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის არსებული სახელმძღვანელოები დასახვეწია;
- ✓ განათლების სამინისტრომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს უნდა შესთავაზოს პროექტებით სწავლებისათვის ეფექტიანი ინფორმაციულ-საკომუნიკაციო რესურსები და სახელმძღვანელოები;
- ✓ ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებს უნდა მიეწოდოს პროექტის ნიმუშები, სარეკომენდაციო ცხრილებთან ერთად.
- ✓ სასურველია, შეიქმნას ერთიანი პლათფორმა, რომ მასწავლებლებმა შეძლონ გეგმების ატვირთვა, რესურსების გაზიარება სხვებისთვის.
- ✓ სასურველია, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებს ჩაუტარდეს ტრენინგები პროექტით სწავლების ტექნოლოგიის არსის გაცნობის მიზნით;
- ✓ მასწავლებელმა საბაზო საფეხურზე უნდა იზრუნოს მოსწავლეებში სხვადასხვა უნარის განვითარებაზე;
- ✓ პროექტის დასაწყისში მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად უნდა შეადგინოს პროექტის გეგმა;
- ✓ ყოველი აქტივობის დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლის სურვილები და ინტერესები;
- ✓ სასურველია, პროექტის შეფასების კრიტერიუმები ერთად შეადგინონ მასწავლებელმა და პროექტში მონაწილეებმა;
- ✓ სასურველია, რომ სხვადასხვა საგნის ან საგნობრივი ჯგუფის პედაგოგებმა ერთობლივად დაგეგმონ და განახორციელონ სასწავლო პროექტები, რადგან საგანთა მომცველ, ინტერდისციპლინურ პროექტებში მონაწილეობა მოსწავლეებს ეხმარება ერთი და იმავე საკითხის სხვადასხვა კუთხით გააზრებაში;
- ✓ განათლების სამინისტრომ პროექტის სწავლების ტექნოლოგიისთვის უნდა დაამტკიცოს ოფიციალური გეგმა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბესელია, ნ., მეიფარიანი, თ., *ინტერაქტიული სწავლება,* თბილისი: სიესტა, 2004, 72 გვ.
2. ბასილაძე, ი., ჭოხონელიძე, ნ., *სწავლების მეთოდები, სტრატეგიები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და ცოდნის შემოწმება- შეფასების საკითხები,* ქუთაისი: 2016, 490 გვ.
3. ბასილაძე, ი., ძოწენიძე ქ., *მასწავლებლის პედაგოგიური ხელოვნება,* ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწ. უნ-ტის გამ-ბა, 2008, 239გვ.
4. გორდეზიანი ც., *პედაგოგიური ტექნოლოგიების თეორიული ანალიზი,* თბილისი: ხატულა, 2005, 191 გვ.
5. ვეფხვაძე მ., *პრობლემური სწავლება,* თბილისი, სსრ მინიისტრთა საბჭოს სახელმწ. კომიტეტი, 1969, 56 გვ.
6. ლობჟანიძე, ს., ფირჩხაძე, მ.,*მასწავლებლის წიგნი, ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში,* თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2016, 205 გვ.
7. ლორთქიფანიძე დ., *დიდაქტიკა,* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1983, 294 გვ.
8. როდონაია, ვ., *ქართული ენა და ლიტერატურა მე-7 კლასი,* თბილისი: სწავლანი, 2019, 184 გვ.
9. როდონაია, ვ., *ქართული ენა და ლიტერატურა მე-8 კლასი,* თბილისი: სწავლანი, 2012, 352 გვ.
10. როდონაია, ვ., *ქართული ენა და ლიტერატურა მე-9 კლასი,* თბილისი: სწავლანი, 2012, 376 გვ.
11. როდონაია, ვ., *ქართული ენა და ლიტერატურა - მასწავლებლის წიგნი,* თბილისი: სწავლანი, 2012, 48 გვ.
12. შტაინერი, რ., *სწავლების მეთოდიკა და აღზრდის სასიცოცხლო პირობები, შტუტგარტში წაკითხული ხუთი ლექცია 1924,* თბილისი: არილი, 1995, 95 გვ.

13. ჯანაშია, ნ. იმედაძე, ნ. გორგოძე, ს., *მასწავლებლის ახალი პროფესიური სტანდარტი ნაწ.1, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი,* თბილისი: საქართველოს მაცნე, 2008, 216 გვ.
14. ჯინჯიხაძე, ჯ., *თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები,* თბილისი: უნივერსალი, 2012, 343 გვ.
15. ჯორბენაძე რ., *გამოცდილებითი სწავლა- სწავლების მეთოდები,* თბილისი, 2003, 224გვ.
16. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, *სასარგებლო რესურსები მასწავლებლებისათვის, ნაწ 1.* თბილისი: ეროვნული სასწავლო გეგმისა და შეფასების ცენტრი, 2007, 350 გვ.
17. *პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის,* მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილის: სეზამი, 2016, 338 გვ.
18. საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა (2018-2024) http://ncp.ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/sabazo-safekhuri-vi-ix-klasebi-proeqti-sadjaro-gankhilvistvis
19. ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტი (2018-2024): http://ncp.ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/sabazo-safekhuri-vi-ix-klasebi-proeqti-sadjaro-gankhilvistvis,
20. ბოჭორიშვილი მ., როგორ შევადგინოთ საგანმანათლებლო პროექტი - გზამკვლევი მასწავლებლებს. http://mastsavlebeli.ge/uploads/resursebi/bochorishvili.pdf;
21. ფირჩხაძე, მ., სასწავლო პროექტების მრავალფეროვნება, (2014) http://mastsavlebeli.ge/?p=2006
22. პროექტი -როგორც სწავლების საუკეთესო მეთოდი. https://edu.aris.ge/news/proeqti-rogorc-swavlebis-sauketeso-metodi.html;
23. Abu-Hussain Jamal, Oleg Tilchin; (2019)Accountability and Project-based Learning; https://www.researchgate.net/publication/330502935;
24. Ju Ho Lee , (2016) The Impact of Project-Based Learning on Teacher Self-Efficacy. https://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/0170840604048162

25. Project based learning

https://www.pblworks.org/blog/looking-pbl-school-heres-some-guidance; (17.07.19)

დანართი №1

მოსწავლეთა თვითშეფასებისთვის განკუთვნილი სარეკომენდაციო კითხვარი:

1)როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა, ამ პროექტზე მუშაობით შენ რაიმე ახალი ისწავლე?

- ○ ბევრი ახალი ვისწავლე
- ○ ნაკლებად ვისწავლე ახალი
- ○ არაფერი მისწავლია ახალი.

2)როგორ შეიცვალა პროექტზე მუშაობისას ჯგუფის წევრებთან ურთიერთობა?

- ○ ბევრად უკეთესი
- ○ უკეთესი
- ○ დარჩა ისეთივე, როგორიც იყო
- ○ გაუარესდა.

3) განსაზღვრული იყო შენი როლი პროექტის შესრულებისას?

- ○ სრულიად ნათელი იყო
- ○ ძირითადად ნათელი იყო
- ○ ნაკლებად იყო ნათელი
- ○ სრულიად გაურკვეველი იყო

4) ,,მასწავლებელმა მიჩვენა გზა, როგორ უნდა მემუშავა პროექტზე“

- ○ სრულიად ვეთანხმები
- ○ ვეთანხმები
- ○ ნაწილობრივ ვეთანხმები
- ○ არ ვეთანხმები

5) ,,როდესაც დახმარება მჭირდებოდა, მასწავლებელი ყოველთვის ჩემ გვერდით იყო“

- ○ სრულიად ვეთანხმები
- ○ ვეთანხმები
- ○ ნაწილობრივ ვეთანხმები

არ ვეთანხმები

6) ჩვენი პროექტის შედეგებით კმაყოფილი ვარ

- ○ სრულიად ვეთანხმები
- ○ ვეთანხმები
- ○ ნაწილობრივ ვეთანხმები
- ○ არ ვეთანხმები.

დანართი №2

მოსწავლეთა თვითშეფასება

ჯგუფი:

წევრები:

1. რა მოლოდინით დავიწყე პროექტზე მუშაობა?

2. როგორ განვითარდა ჯგუფში თანამშრომლობა?

3. რა მომეწონა ყველაზე მეტად?

4. რამდენად პასუხისმგებლობით ასრულებდა ჯგუფის თითოეული წევრი მიცემულ დავალებას?

5. რამდენად მივაღწიეთ მიზანს?

6. რას გავითვალისწინებ შემდეგ პროექტზე მუშაობისას?

დანართი №3

მასწავლებლის თვითშეფასების სარეკომენდაციო ცხრილი:

მისდევდა თუ არა პროექტი წინასწარ დასახულ გეგმას?	
წარმოიშვა თუ არა პროექტის მსვლელობისას გეგმიდან გადახვევის აუცილებლობა? თუ კი - ახსენით რატომ?	
საკმარისი იყო პროექტისთვის განსაზღვრული დრო?	
მოსწავლეებს შორის სწორად იყო თუ არა განაწილებული ფუნქციები?	
მიღებული შედეგები შეესაბამებოდა თუ არა მიზანს?	
რა იყო პროექტის ძლიერი მხარე?	
რა იყო პროექტის სუსტი მხარე?	
კომენტარი:	

დანართი №4

პროექტის შეფასების სარეკომენდაციო ცხრილი:

კრიტერიუმი	კარგი	საშუალო	სუსტი
პრობლემა. რამდენად აქტუალურია და რამდენად არის ეს დასაბუთებული.			
მიზანი. რამდენად კონკრეტული, მიღწევადი, ნათელი და გაზომვადია.			
ამოცანები. რამდენად შეესაბამება თითოეული ამოცანა პროექტის მიზანს.			
განხორციელების გზები. რამდენად უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას., რამდენად რეალურია ვადები და არის თუ არა ფუნქციები გადანაწილებული ჯგუფის წევრებს შორის.			
შედეგი. რამდენად რეალურია აღნიშნული შედეგის მიღწევა და რამდენად შეესაბამება მიზანს.			
რესურსები. პროექტით გათვალისწინებული საქმიანობისთვის.			
დიზაინი. რამდენად ლოგიკურად არის აგებული პროექტი (თანმიმდევრობა), ლაკონური და მარტივი ენა.			

დანართი №5

პროექტის განხორციელების პროცესში მოსწავლეებზე დაკვირვების ცხრილი:

დაკვირვების საგანი	კომენტარი
შედგა თუ არა თანამშრომლობა ჯგუფში	
იყვნენ თუ არა მოსწავლეები მოტივირებული, რამ განაპირობა მოტივაცია	
აგრძელებენ თუ არა მოსწავლეები მუშაობას დამოუკიდებლად	
ჰქონდა თუ არა მათ შეხვედრებს პროექტის განხორციელებისას სისტემური და საქმიანი ხასიათი	
იყვნენ თუ არა ჯგუფში პასიური მოსწავლეები და რა იყო პასიურობის მიზეზი	
ასრულებდნენ თუ არა ინდივიდუალურად მიცემულ დავალებებს	
იმოქმედა თუ არა პროექტის მიმდინარეობამ მათ აკადემიურ მოსწრებაზე (თუ კი, მიუთითეთ კონკრეტული მაგალითები)	

დანართი №6

პროექტის სარეკომენდაციო ანგარიშის ფორმა:

<table>
<tr><td colspan="2">პროექტის დასახელება</td></tr>
<tr><td>პროექტის დაწყების თარიღი</td><td>პროექტის დასრულების თარიღი</td></tr>
<tr><td colspan="2">განხორციელების მიმოხილვა
_____
_____
_____
_____ .</td></tr>
<tr><td colspan="2">წარმოქმნილი სირთულეები და დაძლევის გზები
_____
_____
_____
_____
_____ .</td></tr>
<tr><td colspan="2">მიღწეული შედეგები
_____
_____
_____</td></tr>
</table>

_____ .
გადაჭრილი პრობლემა, შესრულებული ამოცანა, მიღებული შედეგების მდგრადობა _____ _____ _____ _____ _____ .

დანართი №7

სასწავლო პროექტის გეგმის ნიმუში:

სასწავლო პროექტის ავტორი	
სახელი, გვარი	ნანა ტუჩაშვილი
ქალაქი	თბილისი
სკოლა	

პროექტის მონახაზი
პროექტის დასახელება
,,ხანმეტი ლექციონარი“
პროექტის შინაარსი
მეცხრე კლასის სახელმძღვანელოში შეტანილია ძველი ქართული ძეგლებიდან რამდენიმე ნაწყვეტი, რადგან მეათე კლასიდან იწყება ძველი ქართული მწერლობა, უმჯობესია მოსწავლეები მოვამზადოთ ამგვარი ტექსტების წასაკითხად. სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტებთან ერთად ისინი გაეცნობიან ქართულ ხელნაწერებს, გაიგებენ მეტს ხანმეტი ლექციონერის შესახებ და შესაბამისად, ხანმეტი ლექციონარი იქნება პროექტის მთავარი სამუშაო ამოცანა.
საგანი /საგნები
ქართული ენა და ლიტერატურა
საფეხური/ კლასი
მეცხრე კლასი
პროექტის განხორციელების დრო
ერთი სემესტრი
პროექტის საფუძვლები
საგნობრივი სტანდარტები
ქართ.საბ.2. ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის არსებული მიმართებების გაანალიზება და სათანადო დასკვნების გამოტანა; **ქართ.საბ.4.** ტექსტის კრიტიკული გააზრება კონტექსტური ფაქტორების გათვალისწინებით. **ქართ.საბ.8.** სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების შედგენა-გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციისგათვალისწინებით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს). **ქართ.საბ.11.** ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და ადეკვატურად

გამოყენება;
პროექტის სასწავლო მიზნები/ სწავლის შედეგები
▯ მოსწავლეები გაეცნობიან ძველი ქართული ხელნაწერების შესახებ ინფორმაციას; ▯ გაიგებენ რას ნიშნავს ხანმეტობას და ჰაემეტობა; ▯ მოიპოვებენ ინფორმაცის ხანმეტი ლექციონარის შესახებ; ▯ ისწავლიან ქართული ანბანის პირველ საფეხურს: მრგლოვანს; ▯ თვითონ შექმნიან ხელნაწერს; ▯ გააკეთებენ თავისი ნამუშევრების გამოფენას.

მიმართულების მიმცემი საკვანძო კითხვები:	
ზოგადი კითხვა	▯ რა ვიცით ხელნაწერების შესახებ? ▯ რას ნიშნავს ხანმეტობა? ▯ რას ნიშნავს ჰაემეტობა?
თემატური კითხვები	▯ რა იცით მრგლოვანი დამწერლობის შესახებ? ▯ რა გზა გაიარასინას მთიდან წამოღებულმა ხელნაწერმა ხელნაწერმა ეგვიპტეში?
შინაარსობრივი კითხვები	▯ რა ღირებულება აქვს ამ ხელნაწერს დღეს? ▯ რა არის ჩვენი პროექტის მთავარი იდეა?

შეფასების გეგმა		
შეფასების დროის ჩარჩო (შეფასების სტრატეგიები)		
პროექტის მსვლელობის ეტაპები	**შეფასების მეთოდ(ებ)ი**	**შეფასების საშუალება/ ინსტრუმენტ(ებ)ი**
პროექტის დასაწყისში	▯ ვიცი-მინდავიცოდე-ვისწავლე/ გონებრივი იერიში	▯ თვალსაჩინოდ დაწერილი საკითხი(დაფაზე, ჩარტზე, ბლოგზე)
პროექტის მსვლელობისას	▯ პროექტის გეგმები ▯ ჯგუფებზე დაკვირვება ▯ მეტაკოგნიტური რუკები	▯ განმავითარებელი შეფასება ▯ მინიშნებები ▯ კითხვები ▯ მოსწავლის მოპოვებული მასალა ▯ რუბრიკა -მოსწავლის

		სავარაუდო ნაშრომი.
პროექტის დასრულების შემდეგ	▯ ხელნაწერები ▯ თვითშეფასების კითხვარები	▯ ადაპტირების თანმიმდევრობა და საკითხის ხაზგასმა (ნამუშევრების სია) ▯ წინასწარ შედგენილი შეფასების კრიტერიუმები, შენიშვნები.

შეფასების მოკლე მონახაზი

მოსწავლეებს დიაგრამები დაეხმარება იმის გააზრებაში ,რა იციან საკითხის შესახებ, რისი ცოდნა უნდათ ,რა ისწავლეს და რა არის შესასწავლი , ვიწვევთ ხელნაწერების მიმართ ინტერესს მოსწავლეებში. პროექტის გეგმა- მოსწავლეებს დაეხმარება მიზნების ჩამოყალიბებაში და შესაბამისი სტრატეგიების შერჩევაში. მსხვლელობისას მოზაიკის სტრატეგიით, პროექტის მონაწილეები ერთმანეთ გაუზიარებენ მოპოვებულ ინფორმაციას. გააანაწილებენ შესასრულებელ სამუშაოს ,განსაზღვრავენ შეფასების კრიტერიუმებს.

შუალედური შეფასებები და შეხვედრის დოკუმენტები დგება მასწავლებლისგან დამოუკიდებლად, პროექტში მონაწილეების მიერ.

სხვა საკითხები

წინარე ცოდნა

მოსწავლეები პროექტის დაწყებამდე ფლობდნენ ინფორმაციას ქართული დამწერლობის სამი საფეხურის შესახებ, შეუძლიათ წყაროების წაკითხვა და ანალიზი.

სასწავლო პროცედურები

ინფორმაციის მოძიება, მრგლოვანი ანბანის სწავლის დაწყება, ტექტის წაკითხვა, კითხვის დასრულება, ხანმეტი ლექციონარის მხედრული ანბანით გადმოწერა, ანალიზი და შეფასება. პროექტის მსვლელობისას ვეწვევით ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს, მოვინახულებთ ძველ ქართულ ხელნაწერებს, სავუსვამთ კითხვებს ცენტრში მომუშავე პირებს, რომლებიც მუშაობენ და ზრუნავენ ძველ ტექსტებზე. პროექტის

შეჯამება პრეზენტაციითა და ნამუშევრების გამოფენით.		
სასწავლო პროექტისთვის საჭირო რესურსები		
აპარატული უზრუნველყოფა		
✓ კომპიუტერ(ებ)ი	✓ მეხსიერების ბარათი	მობილური ტელეფონი
✓ ფოტო/ ვიდეო კამერა	✓ პრინტერი	ინტერნეტ კავშირი
✓ პროექტორი	✓ სკანერი	ვიდეოკომფერენციის მოწყობილობა
ლაზერული დისკი/ ჩიპი	ტელევიზორი	სხვა
პროგრამული უზრუნველყოფა		
ტექსტურირედაქტორი	✓ ელ. ფოსტა	ვებედიტორი
ელ. ცხრილები	ვიდეო/აუდიორედაქტორი	ტესტირებისპროგრამა
✓ ელ. კითხვარი	✓ საგამომცემლოპროგრამა	✓ ბლოგი
საპრეზენტაციოპროგრამა	ელ. ენციკლოპედია	სხვა

ბეჭდური მასალები	აკაკი შანიძის საავტორო წიგნი ხანმეტ ლექციონარზე, ნამეჭდი მხედრული და მრგლოვანი ანბანი.
ინვენტარი/ მასალები	თაბახის ფურცლები, ფერადი ფურცლები, სკოლის დარბაზი, მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენის მიზნით.
ინტერნეტ რესურსები	▯ https://gallica.bnf.fr/ark:/12148/btv1b52507496p.image ▯ http://kartvelologybooks.tsu.ge/uploads/book/010.pdf ▯ http://armazi.uni-frankfurt.de/armaziII/enebi/kartuli/damcerloba/xanmeti.html
სხვა რესურსები	მშობლები, შემფასებელი მასწავლებლები

© ინტელის კორპორაცია, 2011 წელი

სასწავლო პროექტის გეგმის ნიმუში 2

სასწავლო პროექტის ავტორი	
სახელი, გვარი	ნანა ტუჩაშვილი
ქალაქი	სტეფანწმინდა
სკოლა	
პროექტის მონახაზი	
პროექტის დასახელება	

პრეფიქსები მოხეურ დიალექტში
პროექტის შინაარსი
აღმოსავლურ მთის დიალექტებს მიეკუთვნება მოხეური დიალექტი. სხვა დიალექტებისგან განსხვავებით მოხეურში გვხვდება პრეფიქსი ,,ღ", მაგალითად, როგორიცაა სიტყვა ,,ღლაპარაკობ", ეს ზმნა ერთპირიანია. პირის ნიშნად კი გვხვდება ,,ღ" თავსართი. პროექტში მონაწილეები შეაგროვებენ მოხეურ დიალეტში გავრცელებულ ამგვარ ფორმებს და გაავლებენ პარალელს ძველ ქართულ ენაში პირის ნიშან ხ-სთან. პროექტის შედეგები წარმოდეგენილი იქნება პრეზენტაციისა და რეფერატების სახით.
საგანი /საგნები
ქართული ენა და ლიტერატურა
საფეხური/ კლასი
საბაზო საფეხური, მერვე კლასი
პროექტის განხორციელების დრო
ერთი სემესტრი
პროექტის საფუძვლები
საგნობრივი სტანდარტები
ქართ.საბ.1. ტექსტში მოცემული ფაქტობრივი და კონცეპტუალური ინფორმაციის ამოცნობა-გააზრება; **ქართ.საბ.9.** ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის საკითხების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით(ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს); **ქართ.საბ.11.** ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და ადეკვატურად გამოყენება; **ქართ.საბ.12.** სწავლის პროცესში გამოყენებული სტრატეგიების გაცნობიერება, გაანალიზება და შეფასება მიზანშეწონილობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით.
პროექტის სასწავლო მიზნები/ სწავლის შედეგები
▯ ქართული ენის დიელექტების გაცნობა; ▯ მოხეური დიალექტის შესახებ დამატებითი ცნობების მოძიება; ▯ ძველი ქართულ ენაში პირის ნიშნების რაობის გარკვევა; ▯ პირის ნიშნების ერთმანეთთან დაკავშირება და ანალიზი; ▯ ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვა; ▯ ჯგუფური და დამოუკიდებელი მუშაობის უნარის განვითარება.
მიმართულების მიმცემი საკვანძო კითხვები:

ზოგადი კითხვა	▯ რა არის პირის ნიშანი? ▯ რას ეწორება დიალექტი?
თემატური კითხვები	▯ რას ნიშნავს ხანმეტობა? ▯ რომელი სუფიქსები გვხვდება მოხეურ დიალექტში? ▯ შენარჩუნებულია თუ არა ძველი ქართულიდან ხანმეტობის ნიშანი?
შინაარსობრივი კითხვები	▯ რას ეწოდება ასიმილაცია? ▯ რას ეწოდება დისიმილაცია? ▯ რა ცვლილებები განიცადა პირის ნიშანმა მოხეურ დიალექტში?

	☐ რა გვაძლევს ამის თქმის საფუძველს?

შეფასების გეგმა		
შეფასების დროის ჩარჩო (შეფასების სტრატეგიები)		
პროექტის მსვლელობის ეტაპები	**შეფასების მეთოდ(ებ)ი**	**შეფასების საშუალება/ ინსტრუმენტ(ებ)ი**
პროექტის დასაწყისში	☐ ვიცი-მინდა ვიცოდე-ვისწავლე/ გონებრივი იერიში	☐ თვალსაჩინოდ დაწერილი საკითხი (დაფაზე, ფერად ფურცლებზე, ბლოგზე, სოციალურ ქსელში)
პროექტის მსვლელობისას	☐ პროექტის გეგმები ☐ ჯგუფებზე დაკვირვება ☐	☐ განმავითარებელი შეფასება ☐ მინიშნებები ☐ კითხვები ☐ მოსწავლის მოპოვებული მასალა
პროექტის დასრულების შემდეგ	☐ ესეები ☐ აუდიო და ვიდეო ჩანაწერები ☐ თვითშეფასების კითხვარები	☐ ფოტოების თანმიმდევრობა და საკითხის ხაზგასმა (ნამუშევრების სია) ☐ წინასწარ შედგენილი შეფასების კრიტერიუმები, შენიშვნები.

შეფასების მოკლე მონახაზი

ვიცი/ მინდა ვიცოდე/ ვისწავლე -დავადგენთ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, საკითხის სიღრმისეულ შესწავლამდე.

პროექტის გეგმა -საშუალებას მოგვცემს, დავაკვირდეთ მოსწავლეთა დამოუკიდებლად სწავლის პროცესს.

პროექტის შუალედური შეფასება- საშუალებას გვაძლევს, დავაკვირდეთ მოსწავლეთა პროგრესს, პროექტზე მუშაობის პროცესში.

სტრუქტურული ინტერვიუები და დაკვირვება ეხმარება მოსწავლეებს მიზნის მიღწევაში.

შუალედური შეფასებები და შეხვედრის დოკუმენტები დგება მასწავლებლისგან დამოუკიდებლად, პროექტში მონაწილეების მიერ.

სხვა საკითხები
წინარე ცოდნა
მოსწავლეებმა იციან რას ეწოდება პირის ნიშანი, აღნიშნულ პერიოდში ისინი სწავლობენ ზმნას.აქვთ ჯგუფური მუშაობის გამოცდილება. პროექტის დაწყებამდე ფლობდნენ ინფორმაციას ქართული

დამწერლობის შესახებ, შეუძლიათ მიღებული მონაცემების დამუშავება და ანალიზი.		
სასწავლო პროცედურები		
პროექტის დასაწყისში ვიხსენებთ ნასწავლ მასალას, ვიმეორებთ პირის ნიშნებს. ვაწვდით ინფორმაციას პროექტის მიზნის შესახებ, ვსახავთ ამოცანებს. ვგეგმავთ აქტივობებს, ვაგროვებთ რესურსებს და ამის შემდეგ, ვწერთ გეგმას. ვთანხმდებით პროექტის შეფასების კრიტერიუმებზე. მონაწილეები შესაძლებლობების მიხედვით ინაწილებენ დავალებებ. ჯგუფურად მუშაობა დასჭირდებათ მოსახლეობის გამოკითხვის დროს. ჯგუფები დაინაწილებენ სოფლებს, საცხოვრებელ ადგილთან სიახლოვის მიხედვით. პროექტის მონაწილეები ინდივიდუალურად მოიძიებენ ინფორმაციას დიალექტის შესახევ და გაეცნობიან გეგმაში მითითებულ სახელმძღვანელოებს. ჯგუფური მუშაობით მიღებულ შედეგებს მონაწილეები ერთმანეთს გაუზიარებენ მოზაიკის მეთოდით. პროექტის შემაჯამებელ ეტაპზე, მიღებული შედეგებიდან გამომდინარე ჯგუფები დაწერენ ესეებს. ესეების შეფასების კრიტერიუმები შედგება მოსწავლეებთან ერთად. პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს პრეზენტაციის სახეით, რომელშიც დართული იქნება შუალედური შეფასებები, მონაწილეების თვითშეფასებები და პროექტის განმავლობაში წარმოქმნილ სირთულეებს.		
სასწავლო პროექტისთვის საჭირო რესურსები		
აპარატული უზრუნველყოფა		
✓ კომპიუტერ(ებ)ი	✓ მეხსიერების ბარათი	✓ მობილური ტელეფონი
✓ ფოტო/ ვიდეო კამერა	✓ პრინტერი	ინტერნეტ კავშირი
✓ პროექტორი	სკანერი	ვიდეოკომფერენციის მოწყობილობა
ლაზერული დისკი/ ჩიპი	ტელევიზორი	სხვა
პროგრამული უზრუნველყოფა		
ტექსტური რედაქტორი	✓ ელ. ფოსტა	ვებედიტორი
✓ ელ. ცხრილები	✓ ვიდეო/აუდიო რედაქტორი	ტესტირების პროგრამა
✓ ელ. კითხვარი	✓ საგამომცემლო პროგრამა	✓ ბლოგი
საპრეზენტაციო პროგრამა	ელ. ენციკლოპედია	სხვა
ბეჭდური მასალები	ჯორბენაძე, ბ., ქართული დიალექტოლოგია; ქავთარაძე, ი., ქართული ენის მოხეური დიალექტი; გამყრელიძე, ნ., ქართული ნორმატიული და დიალექტური მეტყველების ფონეტიკური ანალიზი.	
ინვენტარი/ მასალები	თაბახის ფურცლები, ფერადი ფურცლები, მარკერები, დაფა.	
ინტერნეტ რესურსები	http://www.dzeglebi.ge/statiebi/sxva/ena_da_dialeqtebi.html http://gnc.gov.ge/gnc/static/portal/gnc.html	
სხვა რესურსები	ადგილობრივი მაცხოვრებლები	

© ინტელის კორპორაცია, 2011 წელი

სასწავლო პროექტის გეგმა 3

სასწავლო პროექტის ავტორი	
სახელი, გვარი	ნანა ტუჩაშვილი
ქალაქი	თბილისი
სკოლა	

პროექტის მონახაზი
პროექტის დასახელება
აირჩიე სიკეთე
პროექტის შინაარსი
მეშვიდე კლასის სახელმძღვანელოში არის თავი ,,პერსონაჟის პორტრეტი", ,,ლიტერატურული პარალელი". ამ თემებთან დაკავშირებით ავიღეთ ბაკულ სულაკაურის გამომცემლობის, აირჩიე სიკეთის სერიით გამოცემული წიგნები ,,ბალადა გატეხილ ცხვირზე", ,,თევზი ხეზე", ,,კრისტალის თეორია". ამ წიგნებისა და სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტის მიხედვით მოსწავლეები პროექტის განმავლობაში შექმნიან პერსონაჟთა პორტრეტებს. პროექტით მოსწავლეები შეძლებენ ლიტერატურული პარალელების გავლებას, დააკავშირებენ სხვადასხვა პერსონაჟს და იპოვიან საერთო თვისებას, ეს საერთო კი იქნება სიკეთე, ამიტომაც დავარჯვით პროექტს ,,აირჩიე სიკეთე".
საგანი /საგნები
ქართული ენა და ლიტერატურა
საფეხური/ კლასი
საბაზო საფეხური, მეშვიდე კლასი
პროექტის განხორციელების დრო
ერთი სემესტრი
პროექტის საფუძვლები
საგნობრივი სტანდარტები
ქართ.საბ.1. ტექსტში მოცემული ფაქტობრივი და კონცეპტუალური ინფორმაციის ამოცნობა-გააზრება; **ქართ.საბ.9.** ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის საკითხების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით(ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს); **ქართ.საბ.11.** ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და ადეკვატურად გამოყენება.
პროექტის სასწავლო მიზნები/ სწავლის შედეგები

- თანამედროვე ლიტერატურული ტექსტების გაცნობა;
- სხვადასხვა უნარის განვითარება: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა;
- ტექსტებსა და პერსონაჟებს შორის პარალელების გავლება;
- მხატვრულ- ესთეტიკური გემოვნების გამომუშავება;
- მათი თვალით დანახული პერსონაჟების პორტრეტების შექმნა;
- სქემები და დიაგრამები;
- ჯგუფური მუშაობის შედეგი- ორმხრივ ჩანაწერთა დღიური;
- პროექტის შეჯამება და ნამუშევრების წარმოდგენა საზოგადოების წინაშე.

მიმართულების მიმცემი საკვანძო კითხვები:

ზოგადი კითხვა	- რა არის სიკეთე? - ვინ არის პერსონაჟი? - ვინ არის ავტორი?
თემატური კითხვები	- რის საფუძველზე იწერება წიგნები? - რას ეწოდება ლიტერატურული პარალელი? - რამ გააერთიანა სამი წიგნის პერსონაჟები? - როგორი არიან ლიტერატურული გმირები? - რა წინააღმდეგობები ხვდებათ მათ სწავლის პროცესში? ცხოვრებაში?
შინაარსობრივი კითხვები	- რატომ ბალადა გატეხილ ცხვირზე? - როგორ აქცია თავისი ნაკლი ელიმ უპირატესობად? - რის ან ვის წინააღმდეგ იბრძოდა ქეითი? - რომელია თქვენთვის საყვარელი და საინტერესო პერსონაჟი?

შეფასების გეგმა

შეფასების დროის ჩარჩო (შეფასების სტრატეგიები)

პროექტის მსვლელობის ეტაპები	**შეფასების მეთოდ(ებ)ი**	**შეფასების საშუალება/ ინსტრუმენტ(ებ)ი**
პროექტის დასაწყისში	- ვიცი-მინდა ვიცოდე-ვისწავლე/ გონებრივი იერიში	- თვალსაჩინოდ დაწერილი საკითხი (დაფაზე, ფერად ფურცლებზე, ბლოგზე, სოციალურ ქსელში)
პროექტის მსვლელობისას	- პროექტის გეგმები - ჯგუფებზე დაკვირვება - განმავითარებელი შეფასება	- წაკითხული ტექსტები - მინიშნებები - კითხვები - მოსწავლის მიერ მოპოვებული მასალა
პროექტის დასრულების შემდეგ	- ესეები - ორმხრივ ჩანაწერთა დღიური - თვითშეფასების კითხვარები	- ნამუშევრების სია - წინასწარ შედგენილი შეფასების კრიტერიუმები, შენიშვნები. მოსწავლეების მიერ დახატული ლიტერატურული პერსონაჟები.

შეფასების მოკლე მონახაზი

ვიცი/ მინდა ვიცოდე/ ვისწავლე -დავადგენთ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, საკითხის სიღრმისეულ შესწავლამდე.

პროექტის გეგმა -საშუალებას მოგვცემს, დავაკვირდეთ მოსწავლეთა დამოუკიდებლად სწავლის პროცესს.

პროექტის შუალედური შეფასება- საშუალებას გვაძლევს, დავაკვირდეთ მოსწავლეთა პროგრესს, პროექტზე მუშაობის პროცესში.

ორმხრივ ჩანაწერთა დღიური- ეხმარება მოსწავლეებს მიზნის მიღწევაში. ერთმანეთისთვის აზრების გაზიარებაში წაკითხული ტექსტების შემდეგ, აზრთა ჩამოყალიბებაში , მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად აქტიურად იქნება ჩართული პროექტში.

შუალედური შეფასებები და შეხვედრის დოკუმენტები დგება მასწავლებლისგან დამოუკიდებლად, პროექტში მონაწილეების მიერ.

სხვა საკითხები

წინარე ცოდნა

მოსწავლეებმა იციან რას ეწოდება ლიტერატურული ნაწარმოები, შეუძლიათ პერსონაჟების ამოცნობა და მთავარი გმირის დახასიათება. შეუძლიათ, საერთო მახასიათებლების პოვნა ლიტერატურულ ტექსტებს შორის.

სასწავლო პროცედურები

პროექტის დასაწყისში ვიხსენებთ ნასწავლ მასალას, ვსვამთ ზოგად კითხვებს. ვსაუბრობთ საყვარელი წიგნებისა და პერსონაჟების შესახებ, ვიგებთ, რამდენად იცნობენ მონაწილეები თანამედროვე ლიტერატურას. ამის შემდეგ ვაყალიბებთ პროექტის გეგმას და მისაღწევ მიზნებზე ვსაუბრობთ. მოსწავლეები იმუშავებენ ჯგუფურად და ინდივიდუალურად წაიკითხავენ ჩვენს მიერ შეთავაზებულ ყველა წიგნს, ჯგუფის წევრები ერთმანეთ გაუცვლიან რესურსებს. ამისთვის ვთავაზობთ სიკეთის სერიით გამოცემულ წიგნებს და ვუნაწილებთ დროს წასაკითხად. ერთი კვირა ერთი წიგნისთვის. აქვე ვითვალისწინებთ ყოველდღიურ სამეცადინო მასალას. წიგნების წაკითხვის შემდეგ ვიწყებთ დიაგრამებისა და სქემების შექმნას, რათა გამოვკვეთოთ მთავარი პერსონაჟების თვისებები. ხელი შევუწყოთ მათ ერთმანეთთან დაკავშირებას. შემაჯამებელ კვირამდე მონაწილეები ფორმატის ქაღალდზე ხატავენ მათთვის საინტერესო პერსონაჟებს, აქ გამოჩნდება მოსწავლეების შემოქმედებითობა. შემაჯამებელ ეტაპზე მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციას, გამოფენენ თავიანთ ნამუშევრებს და მსმენელებს გააცნობენ შთაბეჭდილებებს წაკითხული წიგნების შესახებ.

სასწავლო პროექტისთვის საჭირო რესურსები

აპარატული უზრუნველყოფა

✓ კომპიუტერ(ებ)ი	✓ მეხსიერების ბარათი	✓ მობილური ტელეფონი
ფოტო/ ვიდეო კამერა	✓ პრინტერი	ინტერნეტ კავშირი
✓ პროექტორი	სკანერი	ვიდეოკომფერენციის მოწყობილობა
ლაზერული დისკი/ ჩიპი	ტელევიზორი	სხვა

პროგრამული უზრუნველყოფა

ტექსტური რედაქტორი	✓ ელ. ფოსტა	ვებედიტორი

✓ ელ. ცხრილები	ვიდეო/აუდიო რედაქტორი	ტესტირების პროგრამა
✓ ელ. კითხვარი	საგამომცემლო პროგრამა	✓ ბლოგი
✓ საპრეზენტაციო პროგრამა	ელ. ენციკლოპედია	სხვა

ბეჭდური მასალები	,,ბალადა გატეხილ ცხვირზე“ ,,თევზი ხეზე“ ,,კრისტალის თეორია“ ,,მოკალი ჯაფარა“ მეშვიდე კლასის სახელმძღვანელო
ინვენტარი/ მასალები	თაბახის ფურცლები, ფერადი ფურცლები, მარკერები, ფერადი ფანქრები ან აკვარელი, ფორმატის ქაღალდები.
ინტერნეტ რესურსები	http:/www.edmodo.ge www. zunal.com
სხვა რესურსები	პრეზენტაციაზე დამსწრე საზოგადოება

© ინტელის კორპორაცია, 2011 წელი

დანართი №8

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Psychology and Education Sciences

Master's Program Teacher Education

Tuchashvili Nana

The teaching technology is the example of Georgian language and literature lesson

(at lower secondary school)

The thesis is submmited to gain the Master's degree in Teacher Education

Supervisor: Zakaria Kitiashvili

Doctor of Education Sciences

TSU Associate Professor

Tbilisi

2019